F 149
1988

ISSN 0132 - 600

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი

12
1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარეგის მზრუნველი მეგობრები არიან ნორჩი ინსპექტორები ნინო სამხარაძე და გიორგი ახობაძე

ნინო ხარაზიშვილი

ფოტო
დ. იაკობაშვილისა

პიონერული საჯარისო საზოგადოება

ტრადიციებითა და მუშაობის გამოცდილებით ნამდვილად არ დაიწუნება სამტრედიის 5.320-იანი პიონერული ორგანიზაცია. გულმოდგინეობის მაგალითები არ აკლია რაიონის 225 რაზმსა და 38 რაზმეულს. გასული წლის მიხედვით, მათ შორის რამდენიმე (12 რაზმეული და 115 რაზმი) მარჯვენაფლანგელიც გახდა. რაიონის სოფლის სკოლების რაზმეულებში ჰყავთ ნაირგვარასაკიანი რაზმებიც. ამ პრაქტიკამ აქ გაამართლა — უფროს-უმცროსი პიონერები მართლაც კარგად თანამშრომლობენ. ერთი სიტყვით, სათქმელი ბევრია. მაგრამ ჩვენ ამჯერად გადავწყვიტეთ, შევეხოთ მხოლოდ აქაურ პიონერთა დღევანდელ განწყობილებებს...

მუშაობის გარდაქმნისა და გადახალისების მოთხოვნილებას უკვე მყარად მოუკიდებია ფეხი სამტრედიელ პიონერთა განწყობილებაში. ისინი ცდილობენ არ ჩამორჩნენ დროის მოთხოვნებს — კვლავაც აქტიურად განიხილავენ საქართველოს პიონერთა XIII რესპუბლიკურ და პიონერთა IX საკავშირო შეკრებებზე წამოჭრილ საკითხებს; მსჯელობენ სიახლეებზე, რომელთა დანერგვაც შესაძლებელი გახადა გარდაქმნის ნორჩ აქტივისტთა ამასწინანდელმა საკავშირო შეხვედრამ.

პიონერული მუშაობის დამოუკიდებლად წარმართვის სურვილი აქ ყველაფერში იგრძნობა — რაიონის 20-მდე სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭოების ამოქმედებაშიც, თაოსანი პიონერების მომრავლებაშიც, რაზმების ცალკეულ რგოლებს შორის ურთიერთმომთხოვნელობისა და ურთიერთკონტროლის გაძლიერებაშიც, იმაშიც, რომ საკუთარი რაზმისა თუ რაზმეულის საქმიანობით პიონერები მეტ დაინტერესებას იჩენენ; და, რაც მთავარია, ეს იგრძნობა იმ უამრავ, გო-

ნიერული სიახლის შემცველ წინადადებაში, რომლებიც რაზმებისა და რაზმეულების საბჭოებში პიონერთაგან უკვე დღენიადაგ შემოდის.

აქ დასკვნებიც ბუნებრივად და უმტკივნეულოდ კეთდება. დღევანდელი მათი მუშაობიდან უკვე საუკეთესოდ ჩანს, თუ რამდენად სწორად აუღეს ალღო სამტრედიელმა უმაწვილებმა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, რამდენად სწორ გზას ადგანან ისინი, რამდენად თამამად ეწინააღმდეგებიან თავიანთ პიონერულ მუშაობაში წლობით დამკვიდრებულ სტერეოტიპებს.

გარდაქმნის აქტივისტთა საკმაოდ მოზრდილი რაზმი ჰყავთ სამტრედიაში. გაინტერესებთ ყველაფერი, რასაც მათ თავიანთი ინიციატივიანობით და შემტევობით მიაღწიეს? ჯერ მარტო პიონერთა სახლის წითელკვალმაძიებელთა ბოლო წლის მუშაობიდან რამდენი მაგალითის მოყვანა შეიძლება! ამ პიონერებმა თავად იტვირთეს ის, რასაც, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, ბოლო ხანებში საკმაო დროს ვერ უ-ამობდა კომკავშირის რაიკომი. შეისწავლეს ავღანეთის სახალხო რესპუბლიკაში ნამსახურები 32-ვე სამტრედიელი ახალგაზრდის ბიოგრაფია და არამარტო ერთმანეთს შეახვედრეს ეს ბიჭები, მათს სადღეისო პრობლემებში ჩახედვაც ითავეს.

პიონერთა დაინტერესებულობისა და დამოუკიდებლობის საგულისხმო გამოვლინებად გვეჩვენა სამტრედიის 1-ელ არასრულ საშუალო სკოლაში მომხდარი ერთი ამბავიც. იგი შეეხება პიონერთა ოთახს, რომელსაც საკუთარი სკოლის ჰერქვეშ ვერადავერ ელირსნენ აქაური პიონერები. დირექციამ მათი გასაჭირისადმი მაინცდამაინც დიდი გულისყური რომ ვერ გამოიჩინა, ბავშვებმა პიონერთა რაიონულ საბჭოს მიმართეს და მის ბიუროზე განსახილველად გაიტანეს თავიანთი გულისტკივილი. მაშინ კი გამოიღო ხელი დირექციამ, სკოლის შენობის საუკეთესო ოთახი — სამასწავლებლო — დაუთმო პიონერებს.

ახლა ირაკლი კაკაძისა და მისი ინიციატივით გახსნილი „შრომითი ფრონტის" ამბავიც შევიტყოთ. ირაკლი და მისი მეგობრები სამტრედიის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერები არიან. ირაკლი რაზმეულს თავკაცობს. ამ ბავშვებმა ცოტა ხნის წინათ საკუთარი ინიციატივით მონახეს მშვენიერი სამუშაო ადგილი — ცეკავშირის სამტრედიის ხილ-ბოსტნეულის სარეალიზაციო ბაზაში დაიწყეს მუშაობა. აქ მუშახელი მუდამ უჭირთ, მუდამ პრობლემაა ახალმოკრეფილი ხილისა თუ რუსეთიდან ჩამოტანილი კარტოფილის დახარისხება, შეფუთვა და დაფასოება. ერთბაშად ოცი მორბედი კი პატარა საქმე არ არის, მით უფრო ასეთი გულიანი, უანგარო დამხმარენი. საკუთარი შრომით გამომუშავებული არც ერთი კაპიკი მოისურვეს ირაკლიმ და მისმა ამხანაგებმა — ბავშვთა საკავშირო ფონდს გადაურიცხეს უკლებლივ მთელი გამომუშავებული თანხა.

ასე გახდა ირაკლი კაკაძე გარდაქმნის აქტივისტი და ეს არავისთვის ყოფილა მოულოდნელი, რადგან ეს ბალისიანი ბიჭი მართლაც ყველა პიონერული საქმის სული და გულია. გავიხსენოთ თუნდაც გასულ გაზაფხულზე სკოლაში მოწყობილი მოსწავლეთა თვითმმართველობის

ნორჩ მხარეთმცოდნეთა საინტერესო საქმიანობის კვალი ყველაზე მეტად ისევ მათ მხარეთმცოდნეობის კაბინეტს ატყვია

დღე. ეს დღე მართლაც შრომატევადი და ბალისიანი ჰქონდათ 1-ელ სკოლელებს. ახალბედობას არ იმჩნევდა სკოლის „დირექტორი", მეთერთმეტეკლასელი ნინო ყურაშვილი, ღელავდნენ მისი „მოადგილეებიც" — სერგო კიწმარიშვილი და ირაკლი კაკაძე, არანაკლებ ღელავდნენ „მასწავლებლებიც". საქმის ორგანიზების შესანიშნავი მაგალითი მისცა ირაკლიმ იმ დღეს თანატოლებს. უკლებლივ ყველა „კლასის ხელმძღვანელი" შეკრიბა დღის ბოლოს, კლასებში ჩატარებული მუშაობისა და

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კკ ცკ-ის გამომცემლობა 12 დეკემბერი 1988

ეროვ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ.

გარდაქმნის მომავალ აქტივისტთა ზორისაა მეექვსეკლასელი პიონერი თ. აცაცაძე.

მოსწავლეთა მომზადების შესახებ თითოეულს ჩამოართვა წერილობითი ანგარიში.

კიდევ ერთი ყოჩაღი ბიჭი გავიცანით — ჩხენიშელი მამუკა შენგელია. ჩხენიშის არასრული საშუალო სკოლის ძველი შენობა დიდხანს ჰქონია სატკივრად ამ სოფლის წვრილფეხობას და რომ გაუგიათ, ახლის მშენებლობა იწყებაო, სიხარულით ცას სწევია ყველა აქაური ბავშვი. უცებ შეკრულა ენთუზიასტ მოსწავლეთა „სამშენებლო“ რაზმი. რაზმის მეთაურობა, რა თქმა უნდა, ამ საქმის თაოსანმა და რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა შენგელიამ ითავა. ფეხებში ებლანდებოდნენ ბიჭები მშენებლებს, ყველა წვრილმან-მსხვილმანზე ხალისით ესაქმებოდნენ. ობიექტიდან სამშენებლო ნაგავი გაჰქონდათ. მერე, როგორც კი დაატყვეს, მშენებლობას

მიმდინარეობს პიონერთა რაიონული შტაბის სხდომა. რამდენი პრობლემაა გადასაჭრელი, რამდენი საქმე — მისახედი.

კარგი პირი უჩანსო. სკოლის ეზოში მშვენიერი სკვერი გაჭრეს ბიჭებმა, ახალჩასმული კარ-ფანჯრებიც გულდაგულ დაწმინდეს...

აი, როგორები იზრდებიან — საქმის ერთგულები, ინიციატივიანები, თანადგომაში უღალატოები. ასეთი სხვაც ბევრი ჰყავთ სამტრედიის პიონერულ ორგანიზაციაში. გაიხსენებენ რომელიმეს და გვარ-სახელს აუცილებლად მის მიერ წამოწყებულ ერთ-ორ კარგ პიონერულ საქმესაც მოაყოლებენ. რაიონის პიონერთა სახლში თავიანთი პიონერული საქმეებით სათითაოდ დაგვიხასიათეს თეა კაშია და მაია მიქაძე, ლაშა გიგინეიშვილი, თეა ნადარაია, თამარ შარაშენიძე და ნინო ციხესაშვილი, მაია ახობაძე, ნანა ცაგარეიშვილი და ლინა კალჩენკო... ლინაზე გადავწყვიტეთ ცოტა რამ კიდევ გითხრათ: იგი ამჟამად სამტრედიის მე-4 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის ახალარჩეული მდივანია, გუშინდელი რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე და ძალზე მდიდარი გამოცდილების მქონე პიონერული აქტივისტი. ლინა ყოფილი არტეკელია და დღესაც არტეკული შთაბეჭდილებით ცხოვრობს. რამდენიმე „იქაური“ სიახლე უკვე კიდეც დანერგა მშობლიური პიონერული რაზმეულის ცხოვრებაში. ასე რომ, ლინას გავლენით, რაზმეულის საბჭოს ახალი თავმჯდომარე „არტეკში“ ახალდამკვიდრებული დემოკრატიული პრინციპით აირჩიეს მე-4 სკოლელებმა. ლინას უხარია, რომ იგი ამ თანამდებობაზე სწორედ გიორგი ახობაძემ შეცვალა. მთელი სკოლის საყვარელმა, ძალზე ენერგიულმა ბიჭმა. აი, ვის აქვს ნამდვილი წინამძღოლის თვისებები, ვის შეუძლია საკუთარი ინტერესებით თანაბრად ყველა თანატოლის „დაავადება“.

რაღა თქმა უნდა, რომ პრობლემაცა და საწუხარიც ბევრი აქვთ სამტრედიის პიონერულ ორგანიზაციაში, ოღონდ ესაა, რომ მათთან შებმას მეტი დამოუკიდებლობით ცდილობენ. მაინც რჩება პრობლემათა რაღაც ნაწილი, რომელიც რაზმეულების რიგით თუ ლიდერ პიონერთა ინიციატივასა და კომპეტენციაზე მაღლა დგას. აი, თუნდაც ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის 24-ე საშუალო სკოლის პიონერთა ერთი პრობლემა...

ამ სკოლის რაზმეული, თავისი საუკეთესო პიონერხელმძღვანელის ციცინო დიასამიძისა და მდიდარი პიონერული ტრადიციების წყალობით, ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტულია სამტრედიის რაიონის პიონერულ ორგანიზაციაში. ხომ ვამბობთ, რომ პიონერულ დოლზე და საყვირზე დაკვრა ყველა პიონერმა უნდა იცოდეს? 24-ე სკოლის რაზმეულში ეს ასეც არის, პიონერული რიტუალების ისეთ სპეცია-

ლისტს. როგორიც ციცინო ხელმძღვანელია, არც შეიძლებოდა ეს პრობლემა ჰქონოდა. მაგრამ სწორედ ამის გამო უფრო ვთვლით თავს მოვალედ, ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გავიმეოროთ სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის ნანა ცაგარეიშვილის, ვფიქრობ, არცთუ მნიშვნელობას მოკლებული განცხადება სწორედ ამ პიონერული დოლებისა და საყვირების უხარისხობის შესახებ. ასე საწყენი რომ არ იყოს, განა სასაცილო არ იქნებოდა ის გარემოება, რომ ეს ინსტრუმენტები სრულიად ნორმალური დატვირთვის შემთხვევაში უმოწყალოდ იმსხვრევა? ამ საკითხს ალბათ უთუოდ გამოუჩნდება პიონერებზე უფრო დიდი ქომაგი და დამცველი. მით უმეტეს, რომ ეს სატკივარი სამტრედიის პიონერთა რაიონული შტაბის „ცისარტყელას“ წევრებსაც აწუხებთ და ალბათ ყველა რაზმეულსაც, რომლებიც ცდილობენ მხოლოდ პიონერთა ოთახების „დამამშვენებლების“ ფუნქციას გამოარიდონ პიონერული საყვირები და დოლები.

წელან „ცისარტყელა“ ვახსენეთ... სამტრედიის პიონერთა ეს რაიონული შტაბი (თავმჯდომარეა ლაშა გიგინეიშვილი) უკვე რამდენიმე წელია არსებობს პიონერთა სახლთან (დირექტორი მყავალა ჩაჩუა). შტაბელთა გაკეთებული? ამაზე წარმოდგენა რომ შეგექმნათ. საკმარისია მათ ერთ რომელიმე გამსვლელ სხდომას დაესწროთ. დიახ, დიახ გამსვლელ სხდომას. ცალკეული პიონერული რაზმეულის მუშაობის შემსწავლელ ამ მშვენიერ ფორმას უკვე რა ხანია ძალზე აქტიურად მიმართავენ ცისარტყელელები. შედეგებიც არ აყოვნებს. სწრაფად ხდება ხოლმე მოწონებული პიონერული მუშაობის გამოცდილების გაზიარება. და რაც მთავარია, აქაც აუცილებლად პიონერთა ჯანსაღი აზრი და დამოუკიდებლობა იმარჯვებს, იმარჯვებს ხალისი და ენთუზიაზმი, ერთი სიტყვით, ყველა ის თვისება, რაიონის სკოლების პიონერული და კომკავშირული აქტივის სწავლებას რომ წარმართავს სამტრედიის პიონერთა სახლის ბაზაზე მოწყობილ ტრადიციულ არასტაციონალურ ბანაკში. მოზარდთა ამგვარმა თვისებებმა წარმოშვა პიონერთა სახლში „საინტერესო აზრების ყულაბის“ დადგმის იდეა. ამ სიახლის წყალობით კი, ვინ იცის, პიონერთა სახლში ბავშვთა ძალებით რამდენი კარგი საქმე იწყება...

მაგრამ კარგ საქმეზე ლაპარაკი და მარინე ხელმძღვანელზე რაიმეს უთქმელობა ალბათ არ იქნება. დიახ, დიახ, მარინე ხელმძღვანელზე — ქ. სამტრედიაში გაგარინის ქუჩაზე მოწყობილი მშვენიერი პიონერული ფორპოსტის ამაგიან დიასახლისზე. გახსოვთ ირაკლი კაკაძე. ცოტა ზემოთ რომ ვახსენეთ? მარინე ხელმძღვანელი მისი დედაა. კარგი ოჯახის კარგი დიასახლისი, კარგი შვილების მშობელი. მარტო ოჯახის დედისა და დიასახლისის დიდი საზრუნავი ვერ შეუფერებია. უპიონერებოდ მოსწყენია ყოფილ პიონერხელმძღვანელს. ირაკლის სახლში რომ შეხვიდეთ, მოგეწონებათ, ისეთია. ერთი ოთახი მუდან ბავშვებითაა სავსე — კედლები ლამაზად გაუფორმებიათ, იქაურობა მოუწყვიათ. ყველა აქაური ღონისძიების სულისჩამდგმელები არიან ეს ნორჩი ფორპოსტელები, მოხუცებულების დახმარებაა თუ სხვა რაიმე კეთილ საქმეში თავის გამოჩენა. თქვენ ზაფხულში უნდა ნახოთ, რა მხიარულება და ხალისია გაგარინის ამ მყუდრო ქუჩაზე. აქ ხომ მანქანა იშვიათად შედის. ეს უკეთესიც არის! ერთმანეთთან ცოცხალი ურთიერთობისათვისა და მხიარული თამაშობებისათვის მით უფრო კარგი პირობები ექმნებათ.

ქუჩის დღესასწაულების მოწყობა ძალიან ჰყვარებიათ აქაურ პიონერებს. სამტრედიის 1-ლი სკოლაცა და მისი რაზმეულიც ხომ საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ჩიქოვანის სახელობისაა. მშვენიერი საბრძოლო დიდების მუზეუმი მოუწყვიათ სკოლაში გმირის სახელზე ამ პიონერებს. გმირის ქუჩის დღესასწაულსაც ყოველ წელს დიდი ზეიმით იხდიან — ქუჩის კომიტეტს უთანხმებენ, საზეიმო პიონერულ ხაზს აწყობენ; ქუჩის ვეტერანებს ხვდებიან, სასულე ორკესტრსაც იწვევენ და კონცერტებსაც მართავენ.

აი, როგორი განწყობილებები აქვთ. და, რაც მთავარია, ახლის, საკუთრივ თავიანთის გაკეთების მოთხოვნილება. ეს ყველაფერი კი, შემდეგში თვისებად დადულაბებული, ცხოვრებაში, ვინ იცის, რამდენ კარგ რასმე წამოაწყებინებთ.

მარინე ხელმძღვანელი დავალებებს აძლევს ფორპოსტელებს თინიკო ზამთარაძესა და ირაკლი კაკაძეს.

ოქროს ფაქტი

70 წლის წინათ, 1918 წელს, დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი, პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში და, საერთოდ, მთელ კავკასიაში, რომელიც სულ მალე იქცა განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების მძლავრ ცენტრად.

როცა თბილისის უნივერსიტეტს საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელს ვუწოდებთ, ცხადია, იგულისხმება თანამედროვე ტიპის უმაღლესი სკოლა, თორემ ყველას მოეხსენება, რომ ქართულ უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გელათისა და იყალთოს აკადემიები თავის დროზე სწორედ უმაღლესი განათლების კერები იყო. გელათის აკადემია, დაარსებული ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ, მემატიანის სიტყვით რომ ვთქვათ, გამიზნული იყო „მოძღვრად სწავლულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისა". მისი პირველი „მოძღვართ-მოძღვარი", ანუ რექტორი, იყო გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც მანამდე საზღვარგარეთის უდიდეს კულტურულ ცენტრებში მოღვაწეობდა.

ეს იყო საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა". მას შემდეგ ჩვენი ქვეყნის ცაზე ბევრმა მეხმა იჭექა და ბევრმა გრიგალმა გადაიარა. განათლების კერები მოიშალა, მაგრამ სწავლა-განათლებისაკენ სწრაფვა ქართველებში არასოდეს ჩამკვდარა.

უდიდესი ძნელბედობის ჟამს, XVIII საუკუნის დამლევს, იოანე ბატონიშვილს შეუდგენია პროექტი თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების გახსნის შესახებ, მაგრამ მტრებით შემოჯარულ საქართველოში იმ დროს ორიოდე სემინარიაც ძლივს არსებობდა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ახალგაზრდობას საშუალება მიეცა უმაღლესი განათლება მიეღო რუსეთისა და ევროპის კულტურულ ცენტრებში. ამ ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავის ცოდნასა და ნიჭს ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას ახმარდა. ამ ბრძოლის შემადგენელი ნაწილი იყო ზრუნვა საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად, რათა ჩვენი ხალხი არ ჩამორჩენოდა კულტურული ცხოვრების ფერხულს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ იბრძოდნენ „თერგდალეულები" ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თბილისში უნივერსიტეტის დასაარსებლად, მაგრამ მათ ცდას წარმატება არ მოჰყოლია.

შემდეგ ისევ ილია ჭავჭავაძის ინიციატივით დაიწყო ახალი შენობის აგება გიმნაზიისათვის, რომელიც სინამდვილეში თავიდანვე მომავალი უნივერსიტეტისათვის იყო გათვალისწინებული. ამ მშენებლობის თავკაცი იყო იაკობ ცხვედაძე, რომელსაც ბევრი საყვედურობდა, — ამოდენა შენობა გიმნაზიას რად უნდა და ზედმეტ ხარჯს რატომ გვაწევინებო. მაგრამ იაკობს დაჟინებით გაჰქონდა თავისი, რადგან მან კარგად იცოდა, რისთვის იყო ეს შენობა გამიზნული. სწორედ ამ შენობაში დაიდო შემდეგ ბინა უნივერსიტეტმა. არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის პროექტით აგებული ეს თეთრი ტაძარი დღესაც ამშვენებს თბილისს და ახლა ის თბილისის უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სახელით არის ცნობილი.

XX საუკუნის პირველსავე ათწლეულში ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეს სათავეში ჩაუდგა დიდი მეცნიერი და მამულიშვილი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო და შემდეგ იქვე შეუდგა მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, სადაც მოხსენებები ქართულად იკითხებოდა. ეს იყო ქართული მეცნიერული აზრის წრთობის სკოლა იმ დროს, როცა ქართულ ენას სახელმწიფოებრივი ფუნქციები მოშლილი ჰქონდა. ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, ვლადიმერ ფუთურიძე და სხვები, რომლებიც შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები გახდნენ.

წრემ ათიანი წლების დასაწყისში ანკეტური გამოკითხვის გზით დაადგინა, თუ რამდენი ქართველი სტუდენტი სწავლობდა იმ დროს რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. ი. ჯავახიშვილს უფრო ადრე შეუკრებია ცნობები იმ პროფესორ-მასწავლებელთა შესახებ, ვინც შეიძლებოდა მოეწვიათ ქართულ უნივერსიტეტში სამუშაოდ.

ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმე სავსებით რეალური გახდა 1914 წლიდან, როცა მეფის მთავრობამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს უფლება ეძლეოდათ გაეხსნათ უმაღლესი სასწავლებელი არარუსულ ენებზე. მაგრამ ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნებართვის მიღება მაინც ძნელი აღმოჩნდა, რადგან მეფის მთავრობას სურდა თბილისში გახსნილიყო რუსული და არა ქართული უმაღლესი სასწავლებელი. ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრენი თავგამოდებით იბრძოდნენ სწორედ ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის დაარსებისათვის, რადგან მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება მხოლოდ ეროვნული ენის საფუძველზე იყო შესაძლებელი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ივანე ჯავახიშვილმა და მისმა მოწაფეებმა იოსებ ყიფშიძემ და აკაკი შანიძემ თბილისს მოაშურეს და უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლის ცენტრმაც პეტერბურგიდან თბილისში გადმოინაცვლა. აქ დიდ ივანეს მხარში ამოუდგნენ ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე, ანდრია რაზმაძე. ისინი შეადგენდნენ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი საზოგადოების ბირთვს.

უნივერსიტეტის გახსნის ნებართვას დროებითი მთავრობაც აჭიანურებდა, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციის წყალობით ეს დაბრკოლება მალე მოიხსნა.

მეცნიერების რაინდებმა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით ჭეშმარიტად გმირული თავდადება გამოიჩინეს, ყველა დაბრკოლება დაძლიეს და თითქმის შეუძლებელი შეძლეს — უმოკლეს ვადაში ჩაუყარეს საფუძველი ქართულ უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის სულის ჩამდგმელის, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით პირველ რექტორად აირჩიეს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც უნივერსიტეტის გახსნის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში ასე განსაზღვრა ეროვნული უნივერსიტეტის ძირითადი მიზნები:

„ჩვენ გვსურს იმ ენაზე, რომელზედაც პირველად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია.

ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს, მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს, შეისწავლონ ჩვენი სამშობლო — საქართველო და კავკასია“.

თბილისის უნივერსიტეტი გაიხსნა 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) — დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს. ეს დამთხვევა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა. უდიდესი სახელმწიფო მოღვაწისა და განათლებული პოლიტიკოსის, გელათის აკადემიის დამაარსებლის სახელის ხსენება სამშობლოს ისტორიის საუკეთესო პერიოდის ასოციაციას აღძრავდა და ხაზს უსვამდა უნივერსიტეტის როლს ეროვნული ჩაგვრისაგან ახლად თავდახსნილი, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინების გზაზე.

„თბილისის უნივერსიტეტის დაარსება ქართველი ხალხისათვის რიგითი უმაღლესი სასწავლებლის შექმნას როდი ნიშნავდა: ეს იყო ეროვნული კულტურული კერის ჩამოყალიბება, რომელიც მოწოდებული იყო მოეხდინა მრავალსაუკუნოვანი ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და შემდგომი განვითარება და გამოეყვანა ქართველი ხალხი საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც თვითმყოფადი, დამოუკიდებელი ერი თავისი მდიდარი კულტურული წარსულით, აწმყოთი და მომავლით“ (თ. გამყრელიძე).

თბილისის უნივერსიტეტი დაარსდა როგორც კერძო უმაღლესი სასწავლებელი, ერთი სემესტრის შემდეგ კი მისი მეურვეობა იკისრა ახლად შექმნილმა სახელმწიფომ — საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

თავდაპირველად უნივერსიტეტში იყო მხოლოდ ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელზედაც ჩაირიცხა 460-მდე სტუდენტი და თავისუფალი მსმენელი. ფაკულტეტის დეკანი იყო ივანე ჯავახიშვილი. პროფესორ-მასწავლებელთა პირველ შემადგენლობაში შედიოდა 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი და 3 ლექტორი.

მალე გაიხსნა სამათემატიკო ფაკულტეტი, მას მოჰყვა სამედიცინო და აგრონომიული ფაკულტეტები. 1920 წლის შემოდგომაზე აქ უკვე 2800-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა.

უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დაიწყო ზრუნვა მისი ბიბლიოთეკის შესაქმნელად, სტამბის შესაძენად, ლაბორატორიების მოსაწყობად.

1920 წლის 9 მაისს შედგა პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. დისერტანტი იყო აკაკი შანიძე, დისერტაციის თემა — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“.

საერთოდ, მეცნიერული კვლევაძიება ქართულ უნივერსიტეტში ქართველოლოგიური დარგების დიდი აღმავლობით დაიწყო: შეიქმნა ფუნდამენტური ნაშრომები ქართული ენის, ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, სამართლის საკითხებზე. ქართველოლოგიის დიდი გამარჯვება იყო ე. წ. ხანმეტი პალიმფსესტების აღმოჩენა ივანე ჯავახიშვილის მიერ.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თავდადებული შრომით სულ მოკლე დროში შეიქმნა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, ქართულ ენაზე ამეტყველდა მეცნიერების თითქმის ყველა

დარგი; გამოიცა ქართული სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები.

ამას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი მიღწევები როგორც ჰუმანიტარულ, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში. თბილისის უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი არაერთ სამეცნიერო სკოლას, რომელთა მიღწევებიც ამჟამად ფართოდ არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. ამ სკოლების მამამთავრები იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი თაობის წარმომადგენლები: ისტორიისა — ივანე ჯავახიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობისა — გიორგი ჩუბინაშვილი, ენათმეცნიერებისა — აკაკი შანიძე და გიორგი ახვლედიანი, ლიტერატურათმცოდნეობისა — კორნელი კეკელიძე, ფილოსოფიისა — შალვა ნუცუბიძე, მათემატიკისა — ნიკო მუსხელიშვილი, ფიზიოლოგიისა — ივანე ბერიტაშვილი, გეოლოგიისა — ალექსანდრე ჯანელიძე, ფსიქოლოგიისა — დიმიტრი უზნაძე. მალე მათ მხარში ამოუდგნენ მათივე აღზრდილები — თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი: სიმონ ჯანაშია, შალვა ამირანაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გიორგი წერეთელი, კოტე ბაქრაძე, ილია ვეკუა, გიორგი ძოწენიძე და სხვები. ამ მეცნიერთა და მათი მოწაფეების დამსახურებაა ის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს მოპოვებული.

განვლილი 70 წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტი დიდად გაიზარდა და ქვეყნის ერთ-ერთ მოწინავე სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად იქცა. ამჟამად მას აქვს 16 ფაკულტეტი, სადაც 14000-მდე სტუდენტი სწავლობს და 1500-ზე მეტი სპეციალისტი მოღვაწეობს. მათ შორის 203 მეცნიერებათა დოქტორი და 904 მეცნიერებათა კანდიდატია. უნივერსიტეტთან არსებობს აგრეთვე ორი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და 40 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია 1500-მდე თანამშრომლით. უნივერსიტეტი ამზადებს კადრებს 41 სპეციალობით და 50 სპეციალიზაციით. აქვე სწავლობს 400-მდე ასპირანტი და სადისერტაციო თემებს ამუშავებს 600-მდე მაძიებელი. უნივერსიტეტში არის 23 სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭო 25 სპეციალობაში დოქტორის და 46 სპეციალობაში კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლებით.

თბილისის უნივერსიტეტში სწავლობს და სტაჟირებას გადის მოკავშირე რესპუბლიკებისა და უცხოეთის ქვეყნების ბევრი მოქალაქე.

თბილისის უნივერსიტეტის დიდი ავტორიტეტის მაჩვენებელია ის მრავალმხრივი სამეცნიერო კონტაქტები, რომლებიც მას აქვს ჩვენი ქვეყნის სხვა მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებთან და უცხოეთის მრავალ უნივერსიტეტთან.

შვიდი ათეული წლის მანძილზე თბილისის უნივერსიტეტმა სამშობლოს აღუზარდა ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ თანამედროვე ქართველ მწერალთა ორი მესამედი თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილია.

უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობა ყოველთვის გამოირჩეოდა და გამოირჩევა კულტურით, განათლებით, შეგნებული დისციპლინით, მაღალი პატრიოტული შემართებით. ძირითადად ამ ახალგაზრდობის დამსახურება იყო ქართული ენის კონსტიტუციური უფლებების დაცვა ამ ათი წლის წინათ. ახლახან მათ კვლავ ისახელეს თავი ქართული კულტურის უძველესი ძეგლების გადსარჩენად, ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისთვის ზრუნვით.

უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ასეთი ახალგაზრდები! იძლიეროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა — ცოდნისა და მეცნიერების დიდმა ტაძარმა!

ზურაბ ჭუმბურიძე

ლიჩუმეა. მწყობრში ვარინდულან ჯარისკაცები. დირიჟორმა ხელი აიქნია, მაგრამ მუსიკოსები დუმან, მხოლოდ დაფდაფების ხმა მატულობს თანდათან... შემოაქვთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დროშა...

დგება ყველაზე ამაღელვებელი და დაუვიწყარი წუთი...

— მე, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, შევდივარ რა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში, საზეიმოდ ვფიცავ...

— ფიცის მიღებისას უცებ თვალწინ დამიდგა ჩემი მშობლიური თელავი, მშობლები, ნაცნობ-მეგობრები, — ყველაფერი ის, რითაც ვსულდგმულობ, და სიამაყის გრძნობა დამეუფლა, ვიგრძენი, რომ ამ წუთიდან სამშობლოს დამცველი ვარ, ჯარისკაცი, რომლისთვისაც ქვეყნის დაცვა წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ჩემი მოსაუბრე 30 წლის ახალგაზრდა, დაწყებითი სამხედრო მომზადების მასწავლებელი გია გაბაშვილია, ჯარგამოვლილი და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ადამიანი.

— სწორად უწოდებენ სამხედრო სამსახურს პოლიტიკური, საბრძოლო, ზნეობრივი და ფიზიკური წრთობის სკოლას. სწორედ აქ მეღავნდება ახალგაზრდის საუკეთესო ადამიანური თვისებები, ჯარისკაცური უანგარო მეგობრობა და გამტანიანობა, ურთიერთგაგება და ერთგულება. სამწუხაროდ, ბევრი შემხვედრია მოუმზადებელი, ჯერ კიდევ გუშინ დედის კალთას ამოფარებული ყმაწვილი, რომლებიც სრულიად უბრალო სიტუაციებშიც კი იბნეოდნენ და უსუსურად გამოიყურებოდნენ. როგორ ფიქრობთ, რატომ იყვნენ ასეთები? იმიტომ, რომ მათი ხასიათის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მშობლების გადამეტებულმა ზრუნ-

მიმდინარეობს საკავშირო სპორტული თამაშის — „ცისკრის“ მორიგი მეცადინეობა. გია მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალს.

გია მასწავლებელი-ვლუკის კრებულისაგან

ნანა ფავლენიშვილი

ფოტო თემურ ცაგარელისა

ვამ. ბევრ ოჯახში ბავშვებს თავიდანვე მეტისმეტად მეურვეობენ მშობლები, აწყობენ „კარგ“ სკოლებში, პრესტიჟულ ინსტიტუტებში, ის კი არა, თავიანთი ნება-სურვილით აოჯახებენ კიდეც. არა მგონია, ასეთი ბავშვები ბედნიერნი იყვნენ. კაცი, რომელიც თვითონ არ დაეძებს თავისი ბედის ვარსკვლავს და სხვას შეჰყურებს ხელებში, დამოუკიდებლად ვერაფერს შექმნის. სწორედ ასეთებს გაუჭირდებათ ჯარში, ასეთებს გაუჭირდებათ ცხოვრებაშიც.

იმისათვის, რომ ჩვენი ახალგაზრდები ფიზიკურად და სულიერად ძლიერნი იყვნენ, რომ შეეძლოთ ყოველგვარი გაჭირვების ატანა, მზად იყვნენ სამშობლოს, დასაცავად, საჭიროა ბავშვობაშივე, სკოლაშივე ჩაეუნერგოთ მშობლიური მიწის სიყვარული, მუდმივი მზადყოფნა მის დასაცავად.

აი, ამ აზრებმა მომიყვანა სკოლაში, ბავშვებთან... არასოდეს დამავიწყდება პირველი გაკვეთილი... ათობით ცნობისმოყვარე თვალი შემომცქერის. არ მინდა, გაცვეთილი ფრაზები წარმოვთქვა მამულზე, პატრიოტიზმზე. უცებ გამახსენდა ერთი ჩემი თანამებრძოლი ჭაბუკი, რომელმაც თავისი სიცოცხლის ფასად სიკვდილს გადაარჩინა ავღანელი ბავშვი. მოსწავლეებს ვუამბე, თუ როგორ იცავდა ჩვენი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას დუშმანთა თავდასხმებისაგან. დავინახე, როგორ ჩაუფიქრდნენ ბავშვები ჩემს ნათქვამს, ვიგრძენი, როგორ გაიბა ჩვენს შორის ნდობის, ურთიერთგაგების უხილავი სიმი. იმ დღეს მე ბედნიერი ვიყავი.

ახლა ოთხი წელია, რაც ქ. ბორჯომის მეორე საშუალო სკოლაში ვმუშაობ. შევქმენი სა. ?ავლო-მატერიალური ბაზის სრული კომპლექსი. ჩამოვაყალიბე ნორჩ მსროლელთა ორი წრე. ბავშვები მალე დაინტერესდნენ სამხედრო საქმით, მართლა მეომრებივით ამომიდგნენ მხარში.

დაწყებით სამხედრო მომზადებას 68 მოსწავლე გადის. თემების მიხედვით ტარდება პრაქტიკული და თეორიული გაკვეთილები. სამწყობრო და ტაქტიკურ გაკვეთილებს ამ მიზნით ცალ-ცალკე მოწყობილ მოედნებზე ვატარებთ. მორიგისა და გუშაგის მოვალეობას მოსწავლეები სამხედრო მომზადების კაბინეტში ეცნობიან და ეუფლებიან.

სამხედრო მომზადების კაბინეტი ყველა წესის დაცვით გვაქვს მოწყობილი.

საბრძოლო დიდების კუთხეში სტენდზე გაკრულია ავღანეთში ნამყოფ, ჩვენი რაიონის მკვიდრ მეომარ-ინტერნაციონალისტთა სურათები.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთი სახეობაა საკავშირო კომკავშირულ-სპორტული თამაში „მართვე“, რომელიც დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა იდეურ და ფიზიკურ აღზრდაში, შრომით მომზადებაში, სამხედრო წრთობაში, ჩვენი სამშობლოს დამცველების აღზრდაში. მოვაწყვეთ ამ თამაშის სტენდი, რომელზეც ნორჩ მსროლელთა საუკეთესო შედეგებს ვაკრავთ.

კვირაში ერთი დღე ეთმობა მეცადინეობებს „ცისკარსა“ და „მართვეს“. მიმდინარეობს თეორიული მასალის შესწავლა, საცეცხლე და სამწყობრო მომზადება.

— გულწრფელად შემიძლია ვთქვა, — განაგრძობს გია, — რომ ბავშვებს მართლა აინტერესებთ სამხედრო საქმე, ყველა დავალებას ხალისით ასრულებენ. ეს იმაშიაც გამოიხატება, რომ სამხედრო კომისარიატში მიწერის დროს ვაჟების 90%-ს სურვილი აქვს იმსახუროს საბრძოლო ნაწილებში. სამხედრო სწავლებით დაინტერესებულ მოსწავლეებს თბილისში, კ. ლესელიძის სახელობის სპეციალურ სკოლა-ინტერნატში ვაგზავნით.

ბავშვებს ძალზე აინტერესებთ პრაქტიკული მეცადინეობები, განსაკუთრებით აქტიურობენ მამუკა კურტანიძე, გია წიქარაშვილი, გოგი მინაშვილი. მათ არც გოგონები ჩამორჩებიან. ბევრი ვაჟი ვერ აჯობებს სამედიცინო მომზადებაში, მაგალითად, თამრიკო ბასილაიას, სოფიკო ბარბაქაძეს, მზია კობრავას, ნათია გოგოლაძეს. ყველაზე სწრაფები და მოხერხებულნი სწორედ ეს ცქრიალა გოგონები არიან.

საინტერესოა, რომ გია გაბაშვილი აქტიურად მონაწილეობს ბორჯომის რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, არის კომკავშირის რაიკომთან ჩამოყალიბებული მეომარ-ინტერნაციონალისტთა კლუბის პრეზიდენტი. კლუბი საკმაოდ მრავალმხრივ და სასარგებლო საქმიანობას ეწევა: ავღანეთიდან ჩამოსული ახალგაზრდების შრომითი მოწყობა, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სკოლებში მათთან შეხვედრების ჩატარება და საუბრები სამხედრო-პატრიოტულ თემებზე...

1988 წლიდან გია გაბაშვილი ბორჯომის განათლების განყოფილების სამხედრო მომზადების მეთოდისტია. მუშაობს დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელებთან, ატარებს მუდმივმოქმედი მეთოდგაერთიანებების მეცადინეობებს, სამხედრო კომისართან ერთად აწყობს საუბრებს სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ცალკეულ საკითხებზე.

ახალგაზრდა პედაგოგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს რაიონის განათლების განყოფილებაში, კოლეგებს შორის, მოსწავლეებში.

საზოგადოებრივი მუშაობა და ბავშვებთან მუშაობა მოითხოვს შრომით ენთუზიაზმს, დროს, დიდ ენერგიასა და შემართებას, ტაქტსა და პედაგოგიურ ალღოს — ყველა იმ თვისებას, რითაც უხვადაა დაჯილდოებული გია გაბაშვილი.

მისი ცხოვრების გზა კეთილშობილური მიზნით არის ნათელმოსილი და ჩვენც გვინდა ვუსურვოთ ახალგაზრდა ალმზრდელს, მრავალჯერ ჩაეტარებინოს სიმამაცისა და ვაჟკაცობის გაკვეთილები, ცხოვრების დიდ გზაზე დაეყენებინოს სამშობლოს ერთგული შვილები, რადგან დიდებული გალაკტიონის ნათქვამია: „სამშობლო — უპირველეს ყოვლისა!“

ვაჟები პრაქტიკულ მეცადინეობებზე საბრძოლო იარაღის დაშლა-აწყობას სწავლობენ



აბა, თქვენ იცით, რა სწრაფად და ოსტატურად აღმოუჩენთ სასწრაფო დახმარებას „დაზარალებულებს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ
ასლამაზიშვილი

მოთხრობა

მხატვარი
ჯემალ ლოლუა

ის გამოწუნებული ცხვრის ბრიგადა იორზე ისევ იმ ადგილზეა, სადაც ადრე იყო. ერთ წელზე მეტი მეც ვმუშაობდი ბრიგადირად. ძაან არ მსიამოვნებდა იქ ყოფნა, მაგრამ მეტი რა ჩარა მქონდა. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის, იორამ ძიას ხათრით ვიკისრე ფარის მოვლა. რომელ ბრიგადაშიც უხეირო ცხვარია — კოჭლი, ხაშალი, ფერდელა, გაღვერილი, ბერწი და რა ვიცი, კიდევ რამე უხეირობადამართული, სულ იქ არის მოქუჩებული. იმათ მაცქერალს ცხვრის სახსენებელი შეგეჯავრება.

— რა ვუყოთ, შვილო, როგორც ავადმყოფ ადამიანს ვერ გადააგდებ, ისეა პირუტყვიც, მაგასაც მიხედვა უნდა. ერთ წელიწადს მოუარე, ნუ დამაღალატებ; ვიშოვით შემცვლელს და მერე დედაცხვრის ბრიგადას ჩაგაბარებთ, — დამპირდა იორამ ძია.

მეც აღარ გავჯიქებულვარ; თავმჯდომარე ძველი კაცია, ომგამოვლილი. იმისა კარგობის მეტი სოფელში არაფერი გაგვიგია. თუ რაიმეს დაგპირდა, პირიდან არ გადავა, შეგისრულებს კიდეც. მოკლედ, ჭირშიც გამოსადეგი კაცია და ლხინშიც. ჩემზე უფროსები ვერ უტეხავენ ხათრს და მე ვინ ვიყავი, უარი მეთქვა. დავთანხმდი და გამოწუნებული ცხვარი ჩავიბარე.

— ამ ბიჭს ყურადღება მიაქციე, ფარნაოზ, დამხმარე მწყემსი უშოვნე, არც საკვები მოაკლო, თორემ, ხომ ხედავ, ბრიგადა უბარაქოა და არავინ ჩერდება, ყველა გარბის! — უთხრა იორამ ძიამ ფერმის გამგეს.

ფარნაოზამაც მოიწადინა. საკვები არ მომკლებია, თივა და ნამჯა ცხვარს თავზე საყრელი ჰქონდა; მეც ხელი გამოვიღე — მსუყე ბალახიან საძოვარზე დამიდიოდა ფარა. დასარწყულებლად იორზე ჩამყავდა. ჩვენი კოლმეურნეობის ვეტფერშალს მოსვენება დავუკარგე, ბრიგადაში მალ-მალე ვიბარებდი, რომ სამკურნალო ცხვრებისათვის მიეხედა.

მოკლედ, გამოწუნებულ ცხვარში ჯაფა მეტია. თანაც უბარაქოა — ნამატი იმან არ იცის, ყველი იქ არ კეთდება და მატყლიც იმდენი იპარსება, სათქმელად არა ღირს. ამიტომაც ამ ბრიგადაში მუშაობას ყველა მწყემსი გაურბის. ჩემს მერე დამხმარედ ვინც გამოგზავნეს, არავინ გაჩერებულა; ზოგი ავადმყოფობას იგონებდა, ზოგი პირდაპირ ამბობდა: არა, ძმაო, ზამთარ-ზაფხულ ამ უბარაქო ცხვარში რა გამაძლებინებსო. იტყოდა და მიდიოდა, ვინ დააკავებდა. გამგეობას ვერ დაეჭირა და მე რა, თოკს ხომ არ გამოვაბამდი ფეხზე. მეც, იორამ ძიას ხათრი რომ არ მქონოდა, ერთ დღესაც არ შევრჩებოდი იმ ბრიგადას.

— მა იმისთანა ვერავინ უნდა ნახოთ, რომ ბრიგადაში ხმის გამცემი მაინც მყავდეს? ყელში ამოვიდა ეს მარტოობა, მთლად მუნჯი ვარ, მეც პირუტყვს დავემგვანე, ლამის ლაპარაკი გადამავიწყდეს. მარტო ცხვრის ბღავილი და ძაღლების ყეფა მესმის, — შევჩივლე ერთ დღეს ფერმის გამგეს ფარნაოზას.

— ცოტა კიდევ მოითმინე, ფირუზ, — მითხრა იმან, — იმ კვირაა ორშაბათს თუ ვინმე არ ჩამოგიყვანო, კაცი არ ვიყო!

— რამდენი მაგისთანა ორშაბათი გავიდა, — საყვედურით ვთქვი და უიმედოდ ჩავიქნიე ხელი, ფერმის გამგისა უკვე აღარაფერი მჯეროდა.

— გეუბნები, იქით ორშაბათს-მეთქი!

— ეგრე დაპირებაში ოთხი თვე უკვე გავიდა. იმ კვირაა ორშაბათს თუ დამხმარე მწყემსი არ მოვიდა, აქ გამჩერებელი არა ვარ. არ გეგონოს, რომ კიდევ ხათრს გაგიწევთ. იცოდე, არ გადავთქვამ, წავალ!

— ნუ გადასთქვამ, არც მე დაგემდურები!

გავიდა ერთი კვირა. ორშაბათია. ინათა თუ არა, გავიღვიძე. მინდა ძაღლებს ჯერი მივცე. ოთხი ძაღლი მყავს, აი, ხბოსავით მაღლები. ვაჭმევ ძაღლებს, მერე ცხვარს ბაკიდან გამოვუშვებ და საძოვარზე გავრეკავ.

გარეთ, ეზოში ვიღაცამ მანქანა დააპიპინა. ძაღლები არ იყეფებოდნენ და მივხვდი, ნაცნობი იქნებოდა. ბინიდან გამოვედი. ვხედავ, ეზოში ფერმის გამგის „ნივა“ დგას.

მანქანაში ორნი ისხდნენ — ფარნაოზა და ერთიც თერთმეტი-თორმეტი წლის, ლობიოს ჰიგოსავით წვრილი, გამხდარი ბიჭი.

— გამარჯობა, — რიხიანად მომესალმა ფარნაოზა და მანქანიდან გადმოვიდა.

მეც მივესალმე, ხელი ჩამოვართვი. ბიჭიც გადმოვიდა მანქანიდან და შორიახლო დადგა.

— ამას იცნობ? — ბიჭზე მანიშნა ფარნაოზამ.

ბიჭს ავხედ-დავხედე. ვერ ვიცანი. ჩვენი სოფელი დიდია. ბიჭი არსად მენახა, ან როგორ დამამახსოვრდებოდა, იმისთანა აყლარწული ყმაწვილებით სავსეა სოფელი. იმ ბიჭივით ეცვათ მუხლებგამოხუნებული, ბოლოებშემოცვეთილი ჯინსის შარვლები, დარბოდნენ ლურჯი ან შავი, ზონარმოშვებული თუ მაგრად შეკრული კედებით; ბევრი კისრამდე ჩამოშვებულ თმას ატარებდა, ამას კი თავი მთლად გადაეპარსა. დალაქს, რომ იტყვიან, თმა ნოლზე დაეყვანა. სიფრიფანა ყურები ხის ტოტზე შერჩენილი ორი ობოლი ფოთოლივით აქეთ-იქით გაეშვირა და ვარდისფრად ასწითლებოდა. იდგა თავჩაღუნული, მორცხვად, უსახელოებო, პირისფერი ხალათი ეცვა. მზემოკიდებული ხელები ჯინსის ჯიბეებში ჩაეწყო და თვალებდახრილი ძირს იყურებოდა. კედის წვერს მიწიდან ამოჩრილ ქვას ურტყამდა.

— ვერ იცნობ? — დამეკითხა ისევ ფერმის გამგე, რადგან ბიჭს ვუთვალთვალებდი და პასუხს ვაგვიანებდი.

— ვერა, ვერ ვიცნობ! — თავი გავიქნიე.

— ამბაკოსია.

— რომლისა? — ვერ მივხვდი უცებ, რადგან სოფელში რამდენიმე ამბაკო ცხოვრობს.

— ქიზიყურაშვილის

— ამის მამა არ იყო, რო... — აღარ დავამთავრე სათქმელი.

— შარშან ივრიდან მომავალს ცხენი რომ გაუფრთხა. გამოქვაბულებთან ხევში გადაიჩეხა და იქ დაიღუპა. კარგი მწყემსი იყო... იმისია... ძაან ყოჩაღი ბიჭია. რო დაგპირდი, ორშაბათს-მეთქი. აჰა. მოგიყვანე!

— ესა?

— ჰო, მთელი ზაფხული შენს ბრიგადაში იქნება დამხმარედ. არსად წასვლა არ ისურვა, ცხვარში უნდა.

უცებ გუნება გამიფუჭდა, ბრაზი მომივიდა.

— ფარნაოზ, მე კაცს გთხოვდი ბრიგადაში საქმისათვის, განა გოგო-ბიჭებსა?!

— სხვა ვერავინ ვნახე ჯერჯერობით და რა ვქნა, ფირუზ. ვიდრე ვინმე გამოჩნდებოდეს, ეს ბიჭი გასწევს იმის მაგივრობას, — მობოდიშების კილოთი მითხრა ფერმის გამგემ.

— ესა, კაცო? — ლამის ბოღმამ გამხეთქოს, აჯამი ხომ არ ვგონივარ ფარნაოზას.

— ბიჭო, რა „ესა“, „ესას“ გაიძახი. ვიდრე ვინმეს გამოვძებნით-მეთქი. განა ვერა ხედამ, რა ძნელია ახლა მწყემსის შოვნა? სანთლით საძებარი გაგვიხდა. ძველები დაბერდნენ, თითო-თითოდ გვეცლებიან ხელიდან. შენისთანა გუნების ახალგაზრდები კი ცოტანი არიან სოფელში, უმრავლესობა ცხვარს სათოფედ არ ეკარება და რა ქნას კოლმეურნეობის გამგეობამ, ან მე რა ვქნა, ღმერთი ხომ არა ვარ, სასწაული მოვახდინო, — ჭარხალივით გაწითლდა ფარნაოზა.

ახლა მე ავპილპილდი. ისეთი ვარ, აბა რა გითხრათ, დავკარგე მოთმინება.

— რატო ეგრე მელაპარაკები, ბრიგადირი რომ მქვიან და ბრიგადაში მარტო მე რომ ვარ, ხომ კარგად იცი. საქმეში მოშველებას ვინ ჩივის, ხმის გამცემი მენატრება, სახლი მენატრება, გაიგე? სად არის შენი დაპირებული მწყემსი?..

ფერმის გამგემ ნახა, რა გაცეცხლებული ვიყავი და ცოტა მოუკლო, იმისთანა რიხით აღარ მელაპარაკა.

— ეგე, დამლაპარაკებელი, — ფარნაოზამ თითი ბიჭისაკენ გაიშვირა. — პატარა რომ არი, მაგრე ნუ უყურებ. მე რომ მაგის ხასიათი ვიცი, არ მოგაწყენს.

ამან რომ ლამპას დაუწია. მეც მოვთოკე ჩემი ნერვები. არც ფარნაოზა ტყუოდა, არც — მე. გამოვტყდი კიდეც.

— ე მაგრე, შე კაი კაცო, იმიტომაც გვიყვარხარ მეცა და თავმჯდომარესაც, ფირუზ!

მე ბიჭს გავხედე. იდგა ისევ იმ ადგილას, კედის წვერს ისევ ქვას ურტყამდა.

თვალი მისმა გადახოტრილმა თავმა მომტაცა. ფერმის გამგე მიქებდა, კარგი ბიჭიაო, მაგრამ გოგრასავით მოსუფთავებულ თავზე იმდენი თეთრი ნაწიბური აღმოვაჩინე, ფარნაოზას ნათქვამში ეჭვი შემეპარა. ბიჭი დიდი თარსი ვინმე ჩანდა. ჩხუბი ეყვარებოდა. თორემ თავს არავინ გაუტეხავდა და ნიშანი არ დაედებოდა. მარტო წინა მხრიდან სამი ნაწიბური დავითვალე. ერთი შუბლისა და საქოჩრეს საზღვარზე ჰქონდა, მეორე მაღლა, საგვირგვინოსთან, მესამე მარცხენა ყურის ზემოთ გამოკლების ნიშანივით ემჩნეოდა.

— ჩხუბი ეყვარება! — ვთქვი და ფერმის გამგეს გადავხედე, რას იტყვის-მეთქი.

— რაზე ატყობ?!

— თავი ნასეტყვ საზამთროსავით აქვს დაჩეხილი და შემთელებული.

ფერმის გამგემ უყურა თავზე, უყურა და ჩუმად ჩაიცინა.

— მართლა რამდენ ადგილასა გაქ თავი გატეხილი, ვარაუდი კი არ გამიწევია. ვინ გაგიტეხა, ბიჭო, ჰა?

ბიჭი ქვას არ ეშვებოდა, ურტყამდა ფეხს. თავი მაღლა არ აუწევია, ჩვენთვის არ შემოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა:

— არავინაც არ გამიტეხია. ისე...

— მალავს, მაგას იტყვის. სად ან ვინ გაუტეხია თავი?

— ვთქვი მე.

— მეც ვიცი, რომ არ იტყვის! — დამემოწმა ფერმის გამგე.

— რატომაც არ ვიტყვი, — ბიჭმა მარჯვენა ხელი ჯიბიდან ამოიღო, მაკარონივით წვრილი, ძვალტყავა თითები თავზე გადაისვა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მე დავასწარი.

— გუგრუცან (ბიჭის ნამდვილი სახელი არ ვიცოდი და საიდან მომივიდა თავში ეს სახელი, არ ვიცი. ალბათ თავი მთლად გადახოტრილი რომ ჰქონდა, იმიტომ). აი, ეგ თეთრი ნაწიბური, საქოჩრესა და შუბლზე რომ გამჩნევია, როდინდელია? — ვთქვი მე.

— შარშანდელია, ლეღვიდან ჩამოვვარდი და კოკის ნატეხარს დავკარი... — იყო პასუხი.

— კეფაზე რო გაქ?

— მე და ჩვენი სკოლის დირექტორის შვილი გიორგა ვხმალაობდით, მე ვჯობდი, გაბრაზდა და გამეტებით დამცხო.

— ეე, ეგ როგორ შეიძლება, ვერაფერი ვაუკაცი ყოფილა, — წამოიძახა ფერმის გამგემ.

— მესამე, გუგრუცან, მესამე? — შევძახე ბიჭს. მე უკვე კარგ გუნებაზე ვიყავი და ბავშვივით მოუთმენლად ველოდი, რას იტყოდა მესამეზე.

გუგრუცანამ მარჯვენა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ახლა მარცხენა ამოიღო, ყურის მაღლა თეთრ ნაწიბურზე დაიდო და თქვა:

— ორხევში კლდიდან დავგორდი!

— თხა იყავი, კლდეზე რა გინდოდა?! — გამეცინა.

— იორდასალამი უნდა მომეწყვიტა!

— ეგ რაღაა?

— ვარდისფერი ყვავილია. კამასავით წვრილი ფოთლები აქვს, ძალიან ლამაზია!

— რათ გინდოდა?

— მანანასთვის.

— მანანა ვინღაა?

— ჩემი კლასელია!

„ეს ბიჭი შეყვარებულია იმ გოგოზე, თორემ კლდეზ

ზე თავს არ გაიტეხავდა-მეთქი“. — გავიფიქრე და გოგოს ვინაობით დავინტერესდი.

— თუ საიდუმლო არ არის, ვისი შვილია?

ბიჭი შეიშმუშნა, თითქოს ხალათქვეშ ჭიანჭველები შეუძვრნენო, ფერმის გამგეს ხშირი, შავი წარბების ქვეშიდან გამოხედა. ხმა არ ამოუღია, თავი უფრო დაღუნა, ქვას უფრო გამეტებით დასცხო ფეხი.

მე ფერმის გამგისკენ გამექცა თვალი. იმის გოგოს ვიცნობდი, გუგრუცანას კბილა იყო, მანანა ერქვა.

— ჩემი გოგოა, თადა და ის სკოლაში ერთად სწავლობენ!

— სასიძო ყოფილა შენი, ვერ ხედავ, შენი გოგოს გულისთვის თავი გაუტეხია! — წამოვიძახე სიცილით და უცებ მარჯვენა ფეხის მუხლი, თითქოს ჩაქუჩი დამკრესო, ისე მეტკინა. ვაი-მეთქი, შევძახე და ჩავიკეცე, ხელები ნატკენ ადგილზე ვიტაცე. ის ქვა, ბიჭი ფეხს რომ ურტყამდა, ჩემს ცხვირწინ მიწაზე ეგდო.

— ეგეც უხეირო ხუმრობისთვინაა! — ნიშნისმოგებით ჩამძახა ყურში ფერმის გამგემ და ახითხითდა.

— რა პირდაპირ ჩემზე გქონია დამიზნებული! ვიხუმრე, შე ვერანავ, შენა, — ვთქვი ბიჭის გასაგონად, თან მუხლზე ხან ერთ ხელს ვისვამდი, ხან მეორეს, რომ ტკივილი ცოტათი მიმეყუჩებინა. ახი კი იყო ჩემზე, მართლა უხეირო ხუმრობა გამომივიდა.

— არა უშავს, შემთხვევით მოუხვდა, მალე გაგივლის, — თქვა ფარნაოზამ მხიარულად და ბიჭს მიუტრიალდა, ჭკუის დარიგება დაუწყო: — თადავ, შინიდან რომ წამოვედით, მანქანაში ხო გელაპარაკე, რა უნდა გააკეთო, როგორ უნდა მოიქცე. პირველ რიგში დაიხსომე: უსაქმური, ალოღლეტია კაცი არავის ეპიტნავება. ნურაფერს დაიზარებ. ფირუზას ძმასავით ამოუდექი გვერდში და ყური კარგად დაუგდე. რასაც აქ ცხვარში ისწავლი, მერე დიდობაში გამოგადგება. ვინ იცის, რაკი შენი სურვილია, იქნებ მამის კვალს გაჰყვე და იმასავით სახელოვანი მეცხვარე დადგე. მე მალ-მალე მოგაკითხავ, როცა გენდომება, შინაც წაგიყვან. აბა, შენ იცი, თადავ, ბრიგადის წევრი ხარ დღეიდან და ფირუზას კაცად ეთვლები... — ფარნაოზა ახლა მე მომიბრუნდა: — მართალს არ ვამბობ, ფირუზ?

— მართალს ამბობ, — ძლივს ვთქვი ეს ორი სიტყ-

ვა და ფეხზე დავდექი. წელში გასწორება მიჭირდა, რადგან მუხლი ისევ მტკიოდა.

— ხვალ მთაში მივდივარ, — ისე განაგრძობდა ფარნაოზა არხეინად ლაპარაკს, თითქოს ვერ ამჩნევდა ჩემს დაღრეჯილ სახეს, — ორ-სამ დღეში გამოწუნებულ ცხვარს კიდევ ჩამოგიყვანთ. ვეტფერშალი წინასწარ გავაფრთხილე, რომ მოხედოს ავადმყოფებს. საკვები ყაირათიანად ხარჯეთ. ამბობენ, წლეულს დიდი ზამთარი დაგვიდგებაო და ჰაიჰარად ნუ გამოიყენებთ. ხო, კიდევ რა, ფირუზ, ამ ბიჭს მიხედე, არ შეამციენო და არ მოამშიო. ვიდრე სექტემბერი დადგება, ნურც დაზოგავ, მაგრად ამუშავე, აქედანვე გაიგოს მწყემსური ცხოვრების გემო, გესმის, ფირუზ?!

— მესმის!

— მაშ წავედი!

ფარნაოზამ „ნივას“ კარი გამოაღო, კაბინაში გადაეყუდა, იქიდან პირთამდე სავსე ყავისფერი ტყავის სპორტული ჩანთა გადმოიღო, ბიჭს მისცა, რაღაც უთხრა და საჭეს მიუჯდა. მანქანას რომ ქოქავდა, რატომღაც ეცინებოდა, ხან იმ ბიჭს უყურებდა, ხან მე.

●

წავიდა ფერმის გამგე. მე და გუგრუცანა დავრჩით. მასპინძელი ვიყავი და ბინაში უნდა გავძღოლოდი. მუხლი ისე მტკიოდა, მეგონა, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი, მაგრამ თავს ძალა დავატანე და ბიჭს წინ გავუძეხი.

მინდა, პირველ რიგში მწყემსური საცხოვრებელი სახლი დავათვალიერებინო. ხომ არ ჰგონია, როგორც საკუთარ სახლში, ისე თეთრად გაქათქათებული ფარდებიანი ოთახები დახვდება. რა იცის, რომ ეს სამოთახიანი, ქვითა და კირით ნაგები, კრამიტით გადახურული ბინა ათაპაპისდროინდელია, მიწიდან ამოწეული ნახევარი მეტრი სიმაღლის საძირკველზეა აშენებული. მთელ სიგრძეზე ივრის მხარეს საჩეხი გასდევს. საჩეხს იატაკი ხისა აქვს და აქა-იქ ჩამტვრეულია. იქაურობა რომ ჩამაბარეს, ფერმის ეზოში ყუთი ვიპოვე, დავშალე და ფიცრები იატაკს დავაკარი. საჩეხში მარტო ერთი ძველისძველი, გაურანდავი ფიცრით გაკეთებული ტახტი დგას, ზედ ნაბდის ძველა აფარია. იმ ტახტზე საღამოთი დაღლილი წამოვწვები ხოლმე.

საჩეხში ორსაფეხურიანი ცემენტის კიბით ავედით.

— აი ეს ჩვენი საძინებელი ოთახია, — ვუთხარი გუგრუცანას და მარჯვნივ პირველ ოთახში შევიპატიჟე. ისიც დგას და ათვალიერებს დრო-ჟამისაგან გაშავებულ, შეულესავ კედლებს, ჭვარტლიან ჭერს და ზედ დაკიდულ, ბუზებით გაჭუჭყიანებულ მტვრიან ელექტრონათურას.

ოთახში სამი რკინის საწოლი დგას. მარცხნივ, კუთხეში, კედელთან რომ არის, იმაზე მე მძინავს, დანარჩენი ორიდან ერთი მოპირდაპირე კედელთან არის მიდგმული, მეორე — მარჯვნივ, ფანჯარასთან.

საწოლებზე ახალთახალი ლეიბები და საბნები აფარია. მე რომ ბრიგადა ჩამაბარეს, გამგეობამ მაშინ გვიყიდა. ჩემ გარდა შიგ ხეირიანად ჯერ არავის სძინებია, ვინც მოვიდა, ყველა გაიქცა და ვის რად უნდოდა.

„ვნახავ, რა ხვითოა, რამდენ ხანს დარჩება იორზე“, — ვფიქრობ და ვეკითხები გუგრუცანას:

— მოგწონს?

— მომწონს, — ფანჯარასთან მდგომ საწოლს გადახედა გუგრუცანამ.

— ემანდ დაიძინე, კარგი?

— კარგი, — თავს იქნევს გუგრუცანა.

— ოღონდ ღამე ხშირად არ გადაბრუნდე, მაგის ჭრიჭინი არც შენ დაგაძინებს, არც მე.

— კოტრიალი არ მიყვარს, ფიქრი ნუ გაქ, — დამაიმედა და ჩანთა გახსნა, იქიდან თოვლივით თეთრი, კარგად გაუთოებული შალითა, ზეწარი და პაწაწინა ლურჯი ყვავილებით მოჩითული ბალიშისპირი ამოიღო. ლოგინი ისე ლამაზად გაასწორა, მესიამოვნა და უნებლიეთ ჩემი საწოლისკენ გამექცა თვალი. დილით რომ ვდგებოდი, ლოგინს არ ვასწორებდი, მაშინვე ფარეხისკენ გავრბოდი, რომ ცხვარი ბაკიდან გამომეყვანა და საძოვარზე გამერეკა. განა ტყუილად არის ნათქვამი, მიჰყე მიხედულებასო? ავდექი და მეც ლოგინის გასწორება დავიწყე. მერე ხან გუგრუცანას საწოლს ვუყურე, ხან ჩემსას, მომეწონა. თურმე რა ცოტა რამეა საჭირო, რომ შენს ირგვლივ სასიამოვნო სიმყუდროვე შექმნა.

მინდა გავიგო, მხდალია თუ არა გუგრუცანა, და ერთგვარ გამოცდას ვუტარებ:

— ამ ოთახში თაგვები, ბაყაყები და გველები იცის!

— მართლა?!

— ორი კვირის წინ გველი ჩემს საწოლზე ამოცოცებულიყო.

— უუ, რას ამბობ!

— როგორც დახვეული თოკი, იგრე იდო.

— დიდი იქნებოდა.

— აი, ჩემი მაჯის სიმსხო, მეტრას არაფერი დააკლდებოდა.

— კარგა გაზომე? — თქვა გუგრუცანამ და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა.

— გგონია, გეხუმრები? რო დამინახა, ჩამოსრიალდა საწოლიდან და ეგე, შენი საწოლის ქვეშ შეძვრა. ნახე, მანდ კედელთან ხვრელია!

გუგრუცანამ საწოლქვეშ შეიხედა.

— ხვრელი მართლა არი! — თქვა მშვიდად, ვხედავ. ნირი არ ეცვლება, ჩემს მონაყოლს აინუნშიაც არ აგდებს.

— არა გჯერა? მე გაგაფრთხილე, ბალღო, და ეხლა შენ იცი. ამაღამ ბაყაყი მძინარეს თავზე რომ დაგახტება, ნურც მაგას დაიჯერებ!

— არც დავიჯერებ!

— რატომ, ტყუილს ვლაპარაკობ?

— მა რა! იქ, საცა გველია, ვერც თაგვი სძლებს და ვერც ბაყაყი. ორივე იმის საყვარელი საჭმელია! — თქვა მშვიდად.

გუგრუცანა მართალი იყო. გამეცინა და მეორე ოთახისაკენ გავუძეხი. იმ ოთახში საკუჭნაო იყო მოწყობილი და პურის საჭმელად გრძელი, დიდი მაგიდა იდგა. კარი შევხსენი და, ფუჰ, ნეტავი ის ბიჭი იქ არ ყოფილიყო, აულაგებელი, მშრალი პურისა და ყველის ნატეხებით, გაურეცხავი რამდენიმე თეფშითა და ხახვის ნაფცქვენებით სავსე მაგიდიდან თაგვმა ისკუპა.

— აი, ასე იცის მარტოობამ. მთლად გადავყევი ცხვარს და ვეღარ მოვიცალე, მივალაგ-მოვალაგო მაგიდა, — მობოდიშებით ვთქვი, რომ ბიჭს არ ეფიქრა, ეს რა ფეთხუმი ვინმეაო.

არც მესამე ოთახი გახლდათ მაინცდამაინც წესრიგ-

ში. წითელ კუთხეში ძველი პლაკატები, ლოზუნგები და ბრიგადის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები იყო გამოკრული; მტვრიან მაგიდაზე ერთი კვირის წინ მოტანილი გაზეთები ეწყო; დაუგველი, გაუწმენდავი იატაკი მიწისფრად გამოიყურებოდა. სამაგიეროდ, ტელევიზორი და რადიომიმღები იყო წესრიგში. საღამოთი კაცი არ მოიწყენდა. მე კი ესეც მაკლდა. ცხვარს რომ საძოვრიდან მოვრეკავდი და დავაბინავებდი, იმისთანა დაღლილობა მომეძალებოდა, არც ტელევიზორის ყურების თავი მქონდა, არც რადიომიმღების მოსმენისა, ვახშმის ჭამა და ლოგინში ჩემი წაპირქვაცება ერთი იყო.

დავდიოდი და გუგრუცანას ვუჩვენებდი [illegible] მთელ ავლადიდებას. მყავდა საკვების საწყობში, ვანახე თივისა და ნამჯის ზვინები, ფარეხი, ჩვილი ბატკნის სადგომი კორაკნები, ფარეხის წინ ფიცრით შემოღობილი ბაკი, სადაც ცხვარი იდგა.

— აი, ეს არის ჩვენი ქონება! — ფართოდ გამოვაღე ბაკის კარი. მოშიებული ცხვარი ბღავილით მოაწყდა გამოსასვლელს და საძოვრისკენ ნაჩქვევი გზით გაეშურა. უკან ძაღლები მიჰყვნენ ძუნძულით. ბოლოს ბაკიდან ერთი კოჭლი, დედალი ცხვარი გამოხანხალდა, ჩაუხას ვეძახდი. უკანა მარჯვენა ფეხი აეკანჭურებინა და მიწას ძლივს ადგამდა.

— რათა კოჭლობს ეს ცხვარი? — მკითხა გუგრუცანამ.

— ბიშმიანია და იმიტომ!

— ბიშმა რა არის?

— ცხვრის სატკივარია, მთაში, სველ, ტალახიან ბაკში დიდხანს დგომისას ემართება — ჩლიქებშუა წყლული უჩნდება და კოჭლდება.

— წამალი არ შველის?

— როგორ არა, ვეტფერშალმა მასწავლა. მიდი, სტაცე ხელი, დამიჭი!

გუგრუცანამ ჩაუხას ზურგში ჩაავლო ხელი, ცხვარმა დაიბღავლა, გაიწია, მაგრამ ვერ გაეშვა, დაწყლულებულ ფეხს ძალას ვერ ატანდა.

მე იქვე ბაკის ღობის ძირას მიდგმულ, ბრეზენტგადაფარებულ თიხის ქოთანში ხელი ჩავყავი, დამწვარი, წმინდად დაფქვილი შაბიამანი ამოვიღე მუჭით და ცხვარს ჩლიქებშუა ჩავაყარე.

— რა წამალია ეგა? — მკითხა გუგრუცანამ.

— დამწვარი შაბიამანი. გაუშვი ცხვარს ხელი!

ჩაუხა ბღავილით და კოჭლობით გაეკიდა წინ წასულ ფარას.

— ის რაღაა? — გუგრუცანამ ფარეხის კარის გვერდით ერთმანეთზე შეწყობილი ცხვრის ნაკელის ფილები დამანახა. მე რომ ბრიგადა ჩავიბარე, იქ დამხვდა.

— მაგას გერმა ჰქვიან!

გუგრუცანამ ისე შემომხედა, მივხვდი, ვერ გაიგო.

— გერმა ცხვრის ნაკელისაგან დამზადებული წივაა, მწყემსები ზამთარში საწვავად იყენებენ.

— ზამთრისათვის შეშა არა გაქვთ?

— აგე, რამდენი ყრია, — ბინის წინ, ეზოში, ფურნის გვერდით დახვავებული ხმელი შეშა დავანახვე.

— მა გერმა რაღათ გინდათ?

— ვიღაცას დაუმზადებია, ვინ იცის, როდის აქეთ აწყვია აქა. დიდთოვლობას გამოდგება, როცა შეშა გამოილევა. გინდა გითხრა, როგორ მზადდება გერმა?

გუგრუცანამ თავი დამიქნია.

— ზამთარში ცხვარს რომ არ შესცივდეს, ფარეხში ბინავდება. გროვდება ნაკელი, ზედ ცხვრის დგომითა და წოლით იზილება და იტკეპნება. გაზაფხულზე, როცა სითბო ჩავარდება და ცხვარი სტოვებს ფარეხს, მწყემსები ფარეხს ასუფთავებენ, ნიჩბით ფიქალ-ფიქალ აჭყრიან გერმას, გარეთ აგურივით დააწყობენ, გაშრება და წივაც მზად არის, — ავუხსენი გუგრუცანას და ბინაში შევედი. გუდაში ყველი, პური და წინა საღამოთი მოკრეფილი ბოლოკი და ოხრახუში ჩავდე.

გუგრუცანამ ჩანთიდან დახვეული გუდა ამოიღო, მამაჩემისა იყოო, თქვა; გაშალა, გაასწორა და შინიდან წამოღებული, ცელოფანში გახვეული საგზალი, რვეული და ფანქარი ჩააწყო შიგ. „ეს ბიჭი პოეტი იქნება“, გავიფიქრე და გუდა მხარზე წამოვიკიდე. ორი კავი მქონდა, ერთი მე ავიღე, მეორე გუგრუცანას მივეცი.

ოთახების კარები გადავკეტეთ და ცხვრის ფარას კვალში ჩავუდექით.

ივრისპირეთში საძოვრები მეტწილად სათესად გამოუყენებელი, მთა-გორიანი ადგილებია, ზედ გვალვაგამძლე ბალახი, ძეძვის, თრიმლის და ჯაგრცხილის ბუჩქები ხარობს. სახნავ-სათესად, სავენახე და სახეხილე ადგილებად უფრო ჭალისპირა ვაკე მიწებია შერჩეული. ცხვარს ნათესები რომ არ წაეხდინა და ჩვენც იმათ დევნაში მეტი დრო არ დაგვხარჯოდა, ფარა გორიდან გორაზე დაგვიდიოდა. იმ დღესაც, გუგრუცანამ მწყემსის კავი რომ აიღო ხელში, ცხვარს აღმოსავლეთით მთა-გორიანი საძოვრისკენ ვაბრუნებინეთ პირი.

●

ფარა გორას თავზე მოექცა. ავედით ჩვენც მაღლა, ზედ კინკრიხოზე შევდექით. გუდები მოვიხსენით, კავებთან ერთად ბალახზე დავყარეთ და ივრის ჭალას გადავხედეთ. მთელი მდინარის გაყოლება, სადამდეც თვალი მიგვიწვდებოდა, ვერხვის, მუხის, ტირიფის, პანტის ხეები და შიგ გაბმული კოწახურის, მაყვლის, ასკილისა და კვრინჩხის ბარდები მოჩანდა. ჭალის თავზე ნაირ-ნაირი ფრინველი ტრიალებდა. ჭალის აქეთა და იქით თვალს ახარებდა შაბიამნით გადალურჯებული ვენახები და ხეხილის ბაღები. ზღვაში გასული გემებივით თეთრად ქათქათებდნენ მეცხოველეთა ფერმები. ალაგ ძროხის ნახირი ძოვდა, ალაგ კამეჩისა. შორს კი, დილის მზის სხივებით გაცრეცილ მსუბუქ ნისლში ნაცრისფრად გაწოლილიყო მაღალ მთათა გრეხილი.

ივრის მხრიდან წამოსული მოუსვენარი ნიავი შარვლის ტოტებს გვიფრიალებდა. ლამის ხალათის ღილკილოები დაეწყვიტა, ისე უბერავდა.

გუგრუცანას ნიავისთვის მიეშვირა შუბლი, თვალები ოდნავ მოეჭუტა და იმ სილამაზეს გასცქეროდა. მერე, თითქოს ვიღაცას უნდა შეეგებოსო, ორივე ხელი წინ გაიწოდა და დაიწყო:

მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო ალაზნის ჭალაო,
ირემო იალაღზედა,
ივრის პირებზე ჩალაო,
ბარდებში მძვრომო ხოხობო,
ტურფაო ხარისთვალაო,
შირაქო, ცხვრების დედაო,
ზედ ჯეირნების ფარაო.

ლექსს ლამაზად, არტისტულად ამბობდა. სულგანაბული ვუსმენდი. „დილას გუდაში რვეული და ფანქარი ტყუილად კი არ ჩაიდო, ნაღდად პოეტობს“, — გავიფიქრე და ვხთოვე, ლექსი კიდევ ეთქვა. ვიდრე ის ახალ ლექსს დაიწყებდა, მე ცხვარს გავხედე. ფარა შორიახლოს გაშლილიყო და სძოვდა. აქეთ რომ მოვაბრუნე თავი, გაოცებულმა პირი დავაღე. გუგრუცანა ყირაზე იდგა, ფეხები მაღლა აეშვირა, თანაც რა ქნა, ბიჭო! ჯერ ხო ორ ხელზე ჰქონდა ყირა გაჭიმული, მერე მარცხენა ხელი აიღო და მარტო მარჯვენაზე დადგა. შემდეგ ისევ ორ ხელზე გამართა ტანი, ხელები ფეხებივით აამუშავა და გაიარა. მოკლედ, გამაგიჟა, იმისთანა რამეს ცირკში თუ ნახავ კაცი.

— ეგ რეები გცოდნია! — წამოვიძახე და ამიტყდა სიცილი.

გუგრუცანა მკლავებზე დაეშვა, თავი ბალახში ჩაყო და ზურგზე გადაკოტრიალდა, ფეხზე ცქვიტად წამოხტა.

— შენ რა, არ შეგიძლია?

— არა!

— სცადე!

— მუხლი რომ მტკივა? — მოვიმიზეზე, რადგან ვიცოდი, ისე არ გამომივიდოდა, როგორც გუგრუცანა აკეთებდა.

— მაინც სცადე! — არ მომეშვა.

ხელები ბალახზე დავაყრდნე, წელში მოვიხარე და ფეხები ავიქნიე, წონასწორობა ვერ დავიცავი, ზურგზე გადავკოტრიალდი.

— მიდი კიდევ!

ისევ ზურგზე დავეცი.

მესამე ცდისას გუგრუცანა მომეშველა. ფეხები დამიჭირა და ისე გამაჩერა. ძლივს ვიდექი, ხელები მიძაგძაგებდა, წონასწორობას ვკარგავდი. მიკვირდა, წვრილი მაჯებისა და ლამის უკუნთო მკლავების პატრონი გუგრუცანა რა ადვილად ჰიმავდა ყირას.

— პირველად მეც მიჭირდა. მკლავები მოხარშული მაკარონივით მეღვედებოდა. ვივარჯიშე და მალე ვისწავლე კიდეც — დამაიმედა ბიჭმა.

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ. დილას ფარნაოზამ რომ მითხრა, ეს იქნება შენთან მწყემსადო, კინაღამ ფინთად გავხდი, იმისთანა საცოდავი მეჩვენე. კიდევ რა შეგიძლია, გუგრუცანა?

— გინდა, დამეშაირე!

— შაირობაც იცი? თუმცა რა, განა ვერ დაგინახე, დილას გუდაში რვეული და ფანქარი რომ ჩადე. პოეტობა გეცოდინება და შაირს ვერ მოიგონებ?

— რვეული და ფანქარი სხვა რამისთვის მჭირდება.

— გუგრუცანას რომ გეძახი, ხომ არა გწყინს?

— არა!

— სანამ მაგ გადაძოვილ თავზე ქოჩორი ამოგივა, იქამდე დაგიძახებ, კარგი?

— კარგი!

— ახლა დავიშაიროთ!

— კარგებისა ვთქვათ თუ ცუდებისა?

— შენ რომელი გაგიხარდება?

— კარგებისა იყოს!

— მიდი, დაიწყე!

— არა, ჯერ შენა!

— შენ არა სთქვი, თუ გინდა, დამეშაირეო? წისქვილს ჯერ შენი აყრია!

— კარგი! — დამეთანხმა გუგრუცანა. ვითომ ჩონგურიაო, ხელები ისე დაიჭირა, მარჯვენა ხელის თითები აიქნ-დაიქნია და შაირის კილოზე დაამღერა:

ტანგალა, ტანგალა,
ტანგალა, ტანგალა,
ქორი ზევით,
იხვი დაბლა,
რა ძალიან იბღინძები,
თავი მოგაქ დიდათა,
შენი ცხვირი გამოდგება
ალაზანზე ხიდათა.

— ეხლა ჩემი აყრია წისქვილზე, — ვთქვი და უჩონგურიოდ მივუმღერე:

მზე შინა და მზე გარეთა,
მზე მთასა და ბარსაო,
შაირებში ვერ მაჯობებ,
მოუჭი მაგ ყბასაო.

შაირის ბოლო ორი სტრიქონი, როგორც წესი და რიგია, სიმღერით გავიმეორე და გუგრუცანას გადავხედე, რას იტყვის-მეთქი. იმასაც არ დაუხანებია:

ეგ შაირი ვინ გასწავლა,
მეტი აღარ წამოგცდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრე გაგბერამ შაირით,
საბელი არ შამოგწვდეს.

ასე შევყევით ერთმანეთს, დავძახოდით „ჩონგურს“ და ლამის ყბების დაღლამდე ვიშაირეთ. ამასობაში მზე კარგა მაღლა წამოვიდა, ცხვარი, ჩვენ რომ ვიყავით, იმ გორის მეორე ფერდობზე სძოვდა. ბალახი ბლომად ბიბინებდა და არ ჩქარობდა. ჩვენც მეტი დრო გვქონდა ერთ ადგილას დგომისა.

გავყურებდი ცხვარს და თვალით ძაღლებს დავეძებდი, სად იყვნენ დადარაჯებულნი. უცებ გუგრუცანა წელში შემივარდა, შუა სარმა გამომდო და იყვირა:

— დამეჭიდე, თუ ბიჭი ხარ!

— უყურე ამას, რა იკადრა, — ვთქვი მე და ორივე ხელი მხრებში ვტაცე. ფეხი მინდოდა გამეთავისუფლებინა, ვერ მოვახერხე, ვაზის პწკალივით მყავდა ჩახვეული, ვერც ხელები ავაშვებინე, ტკიპასავით მეკვროდა, ხვნეშოდა, ჩემს წაქცევას ლამობდა.

— ე დაღვლანჭილო, იცი, რას გიზამ? — ვემუქრები.

— გამაგრდი, ფირუზ! — ვითომ მაფრთხილებს და ისევ ხვნეშის. სარმა რომ არ გამოუვიდა, ახლა ჩემი მაღლა აწევა მოისურვა. გავბრაზდი, ეს რეებს მიბედავს-მეთქი. უკანა მხრიდან ხელები მკერდქვეშ მაგრად ამოვდე, ავწიე და ფეხები ჰაერში ავაფრენინე, ბალახში გულაღმა გავშოტე და ზევიდან დავაწექი.

— გუგრუცანა, შე მაძღარი მგლის საძიძგნო, კიდევ გაბედავ ჩემთან დაჭიდებას?

სიცილით თავი დამიქნია, კიდევ გეჭიდავებიო.

— რა ბაქია ბალღი ხარ, ბიჭო, ადე ფეხზე! ისე უნდა გაგაკრა ამ გორას, წელი ვეღარ ასწიო, — დავემუქრე.

— ეხლა არა!

— მა როდის აპირებ, არსაითავ!

— ცოტა მოვჯანიანდები. ჩემზე დიდი ხარ და ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გძრავ.

— ჰოო, მაშინ თითი მოკაკვე! — ვთქვი და მზეს შევხედე. დილით პური არ მეჭამა, მშიოდა, წავისაუზმოთ-მეთქი და გუდას პირი მოვხსენი, გუგრუცანაც წასწვდა თავის გუდას, ამოიღო ცელოფანის პარკი, გაზეთის ნახევი ბალახზე გაშალა, პარკიდან შემწვარი წიწილა და წითლად დაბრაწული კარტოფილი ამოალაგა. მე პური, ყველი, ბოლოკი და ოხრახუში მივუმატე. ის წიწილა ლამის ძვლებიანად დავტკვერეთ, ოხრახუში და პირშუშხა ბოლოკიც დავაყოლეთ. კარგად დავნაყრდით, რადგან საღამომდე, ვიდრე ცხვარს ბინაზე არ მივრეკავდით და არ დავაბინავებდით, პურის საჭმელად ვეღარ შოვიცლიდით.

მე ჩემს გუდას პირი მოვუკარი. ზურგზე მოვიკიდე და ვთქვი!

— წავიდეთ, ცხვარი იქითა გორაზეა!

გუგრუცანა კი ადგომას არ ჩქარობდა. გუდა მჯდომარემ მხარიღლივ გადაიკიდა და მარცხენა კედის ყელში თითი ჩაიყო.

— რამე დაგივარდა?

თითით ძურწა ბალახის ეკლიანი, გამხმარი თესლი ამოიღო, წკიპურტით შორს გაჰკრა, თან ფეხებზე მომაშტერდა.

მეც დავიხედე, ნეტავი რას მიყურებს-მეთქი.

— ე, ვერან, რას მიყურებ ფეხებზე?

— კოხტა ქალამნები გქონია!

მე მაშინ მართლა ქალამნები მეცვა. ცხვარში, ისიც ზაფხულში, როცა მშრალი ამინდებია, ქალამნებს არაფერი სჯობს. წინდებზე ამოცმული ბუმბულივით მჩატე და მსუბუქია, ასე გგონია, კი არ დადიხარ, დაფრინავ. არც ძურწა ჩაგივარდება შიგ, არც კენჭი.

— მოგწონს?

— ძალიან!

— ჩემი ამოსხმულია! — თავი მოვიწონე.

— მართლა, ბიჭო?! — გაიოცა გუგრუცანამ.

— მართლა, მაშ, პაპაჩემმა იაკომ მასწავლა.

— ფირუზ! — დამეღრიჯა გუგრუცანა.

— რა იყო?

— ამომისხი მეც ქალამნები, რა! ქალამნები ამომისხი და შენი ყურმოჭრილი ყმა ვიქნები.

მე იმის ლოკატორის თეფშებივით აქეთ-იქით გამოშვერილ ყურებს შევხედე, გამეცინა და ვუთხარი:

— ქალამნებს ხვალ ამოგისხამ. თანაც გასწავლი, რომ მერე თვითონ იცოდე და სხვა აღარ შეაწუხო.

— უხ, შენი ჭირიმე, ფირუზ! — შესძახა და, თფუი, რა მახე ბიჭია. იგრევე დაბლიდან მეძგერა ფეხებში. მუხლის სახრელებში შემომხვია ხელები, თავით მუცელზე მომაწვა და არ წამაქცია, ბიჭო? ზევიდან გადმომაწვა, მტაცა ორივე ყურში გამწლიკული თითები და, თითქოს ყრუ ვყოფილიყავი, შიგ ჩამყვირა:

— ოქრო ხარ, ფირუზ, ოქრო, — მერე გვერდზე გადაკოტრიალდა, წამოხტა და სიცილით ცხვრისკენ გაიქცა. ეს ისე სწრაფად მოხდა, გონზე ძლივს მოვედი. არ გამოვკიდებივარ, მომეწონა მისი ხუმრობა.

ცხვარი გორიდან გორაზე ძოვნით გადადიოდა, მისდევდნენ ძაღლები და ჩვენც მივდევდით, თვალი გვეჭირა, სადმე ნოტო არ მოსწყვეტოდა, ხშირ ბუჩქნარიან ადგილებში არ დაგვფანტოდა.

ერთგან ღელე იყო გადასავალი. ღელეში ასე ხუთიექვსი მეტრი სიმაღლის ფატარი კლდის ნოტიო ნაპრალიდან წყარო გამოდიოდა. წყალს ცივი სიო მოსდევდა. მარტში, პირველად რომ ვნახე ეს წყარო, ცხვრის ბინი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი მოდგა

ავთანდილ მეგრელიშვილი

ცას არ შორდება
ღრუბელი წვიმის,
ფოთოლი ცვივა
და ქარი წივის.
ძვალ-რბილში ატანს
სიცივე ლამის,
გზებს ფარავს წყალი,
ტალახი, ლამი.
დაფასდა ცეცხლი
და შეშა ხმელი
თელის თუ წიფლის,
რცხილის თუ თხმელის...

ბუხრიდან კვამლი
ამოდის მძიმედ,
აბოლებს პაპა
თუთუნს და იმედს.
ზამთარიც მოდგა
ზედ სახლის კართან,
ფიფქებით სავსე
დაბერტყა კალთა.

●

თვალს არ უხდება სისველე,
გულს — ლიქნი, ენას — ყბედობა,
კაცს — დაფანტული ოჯახი,
ქალს — ცუდი შვილის დედობა,
უღირსს — ქება და დიდება,
ლაჩარს — ზედაშით შენდობა,
უქნარას — დროის იმედი
და ვაჟკაცს — უიმედობა!

●

შენს არსებობას
მაშინ აქვს აზრი, —
აშენო, შექმნა,
ახარო ვაზი,
ხალხზე, მამულზე
გეჭიროს თვალი,
გადაიხადო
პირნათლად ვალი!
წახვალ და შენიც
დარჩება კვალი!..

დან შიფერის ნატეხი წამოვიღე, ნაპრალში ღარივით ჩავჭედე და წყალი ზედ ალიკლიკდა, წყლის ჩხრიალმა ღელე აახმიანა, სადამდეც მიედინებოდა, იმის ორივე მხარეს ბალახი გალაღდა, ველური ყვავილები იწონებდნენ თავს.

გუგრუცანას წყარო მოეწონა. ხელები გადავიბანეთ. პეშვით ყინულივით ცივი წყალი შევსვით. გუგრუცანა სველ, შეგრილებულ ხელებს გადახოტრილ, დილის მზით დაწითლებულ თავზე ისვამდა, სიამოვნებდა, თვალებს ფისუნიასავით ნაბავდა.

ვიცოდი, უქუდოს საღამომდე თავი დაეწვებოდა, შემეცოდა და ნაბდის ქუდი მოვიხადე, გუგრუცანას გავუწოდე.

— აჰა, გამომართვი!

— რათ მინდა?

— დაიხურე, აფსუსია, ეგ მშვენიერი გოგრა მზეზე დაგეწვას, მე აგერ, ქოჩორი დამიფარავს.

ქუდი გამომართვა, ჯამივით წყაროს შეუშვირა, წყალი მიავლ-მოავლო, წამოასხა და დაიხურა. წვეთები საფეთქლებსა და შუბლზე ჩამოუვიდა.

— ასე უფრო გრილად ვიქნები! — თქვა და გამიცინა, მერე მეკითხება:

— ამ წყაროს რა ჰქვიან?

არაფერი არ ერქვა, მაგრამ უცებ მოვიგონე:

— ნინოს წყარო!

— რატომ ეძახიან ნინოს წყაროს?

— მე დავარქვი ეს სახელი.

— ვინ არის ნინო?

— ჩვენი სოფლელი გოგოა.

— მოგწონს?

— ძალიან!

— ერთად სწავლობდით?

— სკოლა ერთად დავამთავრეთ. მე სამხედროში გამიწვიეს, ის უმაღლესში მოეწყო საექიმოზე.

— სახლი ჯარის წყალთან ხომ არა აქვთ?

— ხო, იქ ცხოვრობს. იცნობ?

— ვიცნობ!

— ლამაზია არა, გუგრუცანა?

— ძალიან!

— იმისთანა ჩვენს სოფელში მეორე არ დაიარება.

— მართალია!

— შენ არ იცი, ჯარის წყალთან რამდენჯერ ამივლ-ჩამივლია იმის გულისთვის, რომ ერთხელ მაინც თვალი მომეკრა.

— მერე, იმან იცის, რომ მოგწონს?!

— არა მგონია.

— რატომ არ გამოუტყდები?

— მერიდება, ბიჭო!

— რისა გერიდება!

— რომ მითხრას, მე არ მომწონხარო?

— იქნებ არ გითხრას!

— მეშინია. არადა, რა კარგია, ვინმე რომ გიყვარს, ან ვინმეს რომ უყვარხარ, მაგაზე დიდი ბედნიერება, ასე მგონია, სხვა არაფერი არსებობს ადამიანისთვის.

— გინდა, მე ვუთხრა ნინოს, რომ გიყვარს?

— შენა?!

— რა გაგიკვირდა, გგონია, ვერ გავბედავ, ნინო ხომ ჩემი მამიდაშვილია!

მეგონა, გუგრუცანა ცრუობდა. არ დავუჯერე.

— აბა, აბა, ტყუილები არ იყოს, მამიდაშვილი არა, სხვა რა მოგინდა.

— მამას გეფიცები, ნათესავია!

მკვდარი მამა დაიფიცა, დამეჯერა. წარმოვიდგინე, ჩემს ნალაპარაკევს ერთ მშვენიერ დღეს ნინოს რომ ჩაუკენჭავდა, და გავწითლდი.

— ბიჭო, გუგრუცან, აქ რაც ვიყბედე, იმასთან ნუ გაამხელ, კარგი?

— შენი ნებაა! — თქვა გუგრუცანამ.

ზევით, ფერდობზე ძაღლები აყეფდნენ. ცხვარი დაფრთხა და პირი უკან ქნა, ჩვენკენ წამოვიდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲘᲡᲘ

ᲜᲝᲠᲩ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ №12

ᲜᲐᲫᲕᲘᲡᲮᲔ

ვაშა, ვაშა, ნაძვისხეო,
ლამაზო და კოხტაო,
რომ იცოდე, საახალწლოდ
რა ლამაზად მოგრთავო.
თავზე ვარსკვლავს გაგიკეთებ,
კაშკაშას და წითელსა,
მხრებზე ცელქებს შემოგასხამ —
ჩიტუნებს და ციყვებსა,
კურდღელსა და მელაკუდას,
დათუნიას ბაჯბაჯას,
ყველას, ვინც შენს სილამაზეს
ტყეში უდგას დარაჯად.

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲙᲐᲪᲐᲜᲐᲫᲔ,
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ, ᲙᲝᲠᲑᲝᲣᲚᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, VIII ᲙᲚᲐᲡᲘ.

ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲨᲘ

რა დამავიწყებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში გატარებულ იმ ლამაზ დღეებს! თბილისიდან სამი საათის ფრენის შემდეგ ჩვენი თვითმფრინავი სოფიის აეროდრომზე დაეშვა. იქვე, აეროდრომთან „იკარუსი“ გველოდებოდა, რომელმაც ქალაქ ბლაგოევგრადისაკენ წაგვიყვანა.

გულთბილად მიგვიღო ბულგარეთმა. ჩვენ საბჭოთა კავშირიდან ვართ — ეს ორიოდ სიტყვაც საკმარისი იყო, რათა ბულგარელთა მხრიდან გვეგრძნო ის უდიდესი პატივისცემა, მოკრძალება, მოწიწება და სიყვარული, რაც საბჭოთა ხალხის მიმართ აქვს ბულგარელ ხალხს. ბულგარეთში კარგად იცნობენ საქართველოს და ძალიან უყვართ ქართველი ხალხი, ამას ჩვენ ყველგან ვგრძნობდით.

დავათვალიერეთ სოფიის ტაძარი, რილსკის მონასტერი, მოვიხიბლეთ ბალკანეთისა და პირენეის მთების სილამაზით. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის ყველაზე სამახსოვრო სწორედ ბალკანეთის მთებში გატარებული დღეები იქნება, რადგან აქ გავეცანით, დავუახლოვდით და დავუმეგობრდით ბულგარელ ბავშვებს. არასოდეს დამავიწყდება ის ცრემლები, გულწრფელი, მეგობრული სიყვარულით აღსავსე ცრემლები, ბულგარელმა თანატოლებმა განშორებისას თან რომ გამოგვატანეს.

ახლა კი ბულგარეთიდან მოგვდის სიყვარულით, სიკეთით, ბულგარული მზის სხივებით გამთბარი წერილები და ჩვენც ასეთივე ბარათებით ვპასუხობთ მეგობრებს. მე და ჩემმა მეგობრებმა კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ ჭეშმარიტება — თუ ჩვენ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბავშვები, ასე ვიმეგობრებთ, არა თუ ომი, ომის საშიშროებაც კი არასოდეს იარსებებს.

ᲚᲘᲐ ᲨᲐᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲥᲕᲔᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲔᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, X ᲙᲚᲐᲡᲘ.

ᲤᲝᲗᲝᲚᲣᲠᲘ

მიიწურა თუ არა ზაფხული, მზემ დაჰკარგა მცხუნვარება. შევცქერი ატეხილ მთებს და გულს სევდა იპყრობს... რამ შეუცვალა ფერი მწვანედ მოხასხასე ხეებს? უწყალო გვალვამ ხომ არა? იქნებ იმ ნისლმა, ნაცრისფერ ქუდებად რომ დაუხურავთ ბუმბერაზ მთებს?

ნიავმა ჩამოუქროლა სკოლის ეზოში ჩამწკრივებულ ნაცნობ ტირიფებს, კაკლისა და ალუბლის, მსხლისა და ვაშლის ფესვმაგარ ხეებს, შემოდგომაა — ჩამჩურჩულა ნიავმა და ხეთა შტოებს დაერია...

მიწა წითელ-ყვითელი ხალიჩით დაიფარა. ჩემს წინ ალუბლის უსასოო პატარა ფოთოლი დაეცა. ფეხი არ დამაბიჯოო, შემომტირა. ფრთხილად ავიღე, გულში ჩავიხუტე... ცრემლი მომადგა, მივეფერე, მივესათუთე.

— არ იტირო, გაივლის სუსხიანი ზამთარი და მალე კვლავ გაზაფხული მოვა, თან ახალ სიცოცხლეს მოიტანს...

ᲤᲐᲥᲘᲖᲝ ᲤᲐᲜᲘᲨᲕᲚᲘᲫᲔ,
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ, ᲛᲔ-2 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, X ᲙᲚᲐᲡᲘ.

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!

ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საშუალო სკოლის ფოტოკლუბი „ობიექტივი“ აცხადებს ფოტოკონკურსს „ბავშვების თვალით“. სვირელი მოსწავლეები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ რესპუბლიკის ყველა ნორჩ ფოტომოყვარულს, ფოტოწრესა და ფოტოკლუბს.

კონკურსის ინდივიდუალურ მონაწილეთ შეუძლიათ გამოგზავნონ 13X18 სმ და 18X24 სმ ფორმატის 5 ნამუშევარი, წრეებისა და კლუბებისაგან მიიღება 30 ფოტოსურათი. თითოეულ მათგანს უკანა მხარეს უნდა ეწეროს ავტორის სახელი, გვარი, სკოლა და მისამართი.

რას უნდა ასახავდეს საკონკურსო ფოტოები? ყველაფერს, რაც თქვენს გარშემო ხდება — თქვენი თანატოლების ცხოვრება-საქმიანობას, უფროსების შრომას, მშობლიურ ბუნებას, ადამიანის ურთიერთობას გარემოსთან, ჩვენში მიმდინარე გარდაქმნებს და სხვ.

ფოტოკონკურსის მომწყობი ჯგუფი 1989 წლის 1 მარტამდე დაელოდება თქვენს ნამუშევრებს. სვირელებს განზრახული აქვთ გამარჯვებულები დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოონ.

ფოტომასალა კონკურსისათვის გამოგზავნეთ მისამართით: ზესტაფონის რაიონი, სოფელ პირველი სვირის საშ. სკოლა, ფოტოკლუბი „ობიექტივი“.

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ!

ᲛᲖᲘᲡ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲓᲝᲓᲝ ᲕᲐᲓᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ
ᲖᲐᲣᲠ ᲓᲔᲘᲡᲐᲫᲔ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ვიღაც იდგა მზით განათებულ ქუჩაზე და მღეროდა, ალბათ რაღაც უხაროდა. მეც მიხაროდა, მაგრამ რაღაც კი არა, ზაფხულის მოსვლა მიხაროდა.

ბევრი მზე იყო დაღვრილი ქუჩებზე, მთებზე, მთაწმინდაზე, ყველგან — კრამიტისა და წითლად შეღებილ თუნუქის სახურავებზე, მგონი, ცაც ცისფერი კი არა, ოქროსფერი იყო.

დრო დაუდგათ ჩემს ჭრელ-ჭრელა კაბებს, პეწდაკარგულ ფეხსაცმელებს და წითელარშიან თეთრ წინდებს, მაგრამ არც ერთი აღარ მომერგო.

— ესენი შენი მეგობრების უმცროს დებს წაუღე, — მითხრა დედამ და განსაკუთრებული ალერსით დაუწყო ხელში ტრიალი ჩემს გამჭვირვალე ლამაზ კაბას.

არ ვიცოდი, გამხარებოდა თუ გული დამწყვეტოდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მამა იყო „გაჭირვების ტალკვესი“.

— წავიდეთ, — თქვა მამამ.

„წავიდეთ, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი“, — გავიფიქრე.

მამას ქუჩაში ხელჩაკიდებული სიარული უყვარდა. მის ორ თითში ეტეოდა მთელი ჩემი ხელი.

მოხდენილ და ლამაზ მამას მუდამ ჩოხა-ახალუხი ეცვა, მაგრამ ზაფხულში ტილოს თეთრ ღილკილოებიან ბლუზას იცვამდა და თავზე, „რუსულ ქუდს“ რომ ეძახდნენ, იმას იხურავდა. ქუდი ან თეთრი იყო, ან ხაკისფერი. ფეხზე „აზიაცკები“ ეცვა.

წინათ ქალაქის ტრანსპორტი ტრამვაი და ფაეტონი იყო. ფაეტონები ჩამწკრივებულები იდგნენ ვორონცოვის ხიდთან, პუშკინის ქუჩაზე, ჩერქეზოვზე, ვაგზალზე, ზემელზე.

ფაეტონის კოფოზე იღლიაში მათრახგაჩრილი მეეტლები იყვნენ წამოსკუპული. არ ვიცი, მართლა მსუქნები იყვნენ, თუ წელში გადაჭრილი, ბლომა ნაოჭაყრილი ჯუბები აჩენდნენ ასეთს.

მეფაეტონეებს მოქსოვილი წითელფოჩიანი ქამრები ერტყათ, თავზე შავი ქუდები ეხურათ. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდნენ ერთმანეთს ღაჟღაჟა სახეებითა და გრძელი ულვაშებით. ეს ჯანსაღი ფერი ალბათ დღენიადაგ ჰაერზე ყოფნის ბრალი იყო. თუ ღამით ძალიან ყინავდა, დარაჯებთან ერთად ქუჩაში ცეცხლს დაანთებდნენ, მის გარშემო ცეცხლისაკენ ხელებგაწვდილები იდგნენ და ხმადაბლა ტკბილად მუსაიფობდნენ.

მამა ხშირად დადიოდა ფაეტონით. მეც მივუსკუპდებოდი ხოლმე და ალბათ რა ერთიბეწო ვჩანდი მის გვერდით. თბილისში თითქმის უკვე აღარავინ ატარებდა ეროვნულ ტანსაცმელს. ფაეტონში ჩოხა-ახალუხიანი კაცის გამოჩენა რუსთაველის პროსპექტზე ზოგიერთებს ალბათ ეჩოთირებოდათ. ამიტომაც ბევრი ჩერდებოდა და გაოცებული თვალს აყოლებდა ფაეტონს.

იმ დღეს მე და მამა ვაკიდან ტრამვაით წამოვედით. მე ღია სარკმელთან ვიჯექი და სიამოვნებით ვათვალიერებდი ქუჩაში მოსიარულე ხალხს, ღია ფანჯრებში გადმოყუდებულ ქალებს.

ტრამვაიმ სწრაფად ჩაირახრახა რუსთაველის პროსპექტი, სასახლის ქუჩაზე სვლას უნელა, ღრჭიალით დაარტყა წრე ახლანდელ ლენინის მოედანს და პუშკინის ქუჩის კუთხეში ზარის წკრიალით შეჩერდა.

მამა ჯერ თვითონ ჩავიდა ტრამვაიდან, მერე ხელი გამომიწოდა და დიდი ქალბატონივით ჩამიყვანა კიბეზე. ისევ ჩამკიდა ხელი და პუშკინის ხმაურიან ქუჩას დავუყევით. ერთმანეთში ირეოდა ქალისა თუ კაცის ხმა, არღნის მუსიკა თითქოს ყველას თავზე დასტრიალებდა. რამდენიმე ბიჭი დამდგარიყო და ჭრელ არღანს ისე შესჩერებოდა, თითქოს ელოდა, ესაა, ვიღაც ხელებგაშლილი გადმოხტება ოქროსფერი, მოხატული პატარა კარიდან და სიმღერით აჰყვება არღანსო. ვიღაც კაცებს წელგათრეული ნაბიჯით დაჰქონდათ კისერზე განიერი საბლით ჩამოკიდებული, მინის სახურავიანი ყუთები, თან რუსულად დროდადრო შეჰყვირებდნენ: „ლენტა, კრუჟავოო!“

იმ ზღაპარივით სანუკვარ ყუთში ჩაიჭყიტავდი და თვალი აგიჭრელდებოდა, რომლისთვის დაგედო ზემოდან საჩვენებელი თითი, აღარ იცოდი. ყველაფერი ლამაზი და ბრჭყვიალა იყო. იქვე, ფერად-ფერად ბაფთებთან და ფიფქივით დაჭრილ მაქმანებთან, პატარა, კრიალა ლითონის გულქანდები ეწყო, რომლებზეც ოქროსფერი ასოებით ქალის სახელები იყო ამოტვიფრული. რატომღაც ჩემი სახელი არა-

სოდეს არ შემხვედრია. ერთხელ ათი ცალი ვაყიდინე ბიცოლას. შინ რომ მოვიტანე და გახარებულმა მაგიდაზე დავაწყვე, ჩემმა ძმამ ჩემს აღფრთოვანებას ცივი წყალი გადასხა.

— რა უბედურებაა ეს! — მითხრა გაჯავრებულმა, მაგრამ, ეტყობა, ჩემს გაოცებულ სახეს რომ შეხედა, შეევცოდე და გამიღიმა. — აფთიაქი, მაღაზია, ფოსტა, სოფსაბჭო არ იყო? არ გაიკეთო, საზიზღრობაა. — ამ დროს ჩემი მამიდაშვილი, პატარა თინიკო შემოვიდა.

— ვაიი, რა ლამაზია! — თქვა და დიდრონი, გრძელწამწამებიანი თვალები ააფახულა, მერე ხელის ერთი მოსმით თავისკენ მოიწია გულქანდები და სათითაოდ დაუწყო თვალიერება. — შეხედე, შეხედე, სარკესავით კრიალებს და მე ვჩანვარ შიგ... მომეცი რა!

გუნებაგაფუჭებულს აღარაფერი აღარ მინდოდა, ახლა აღარც მე მომწონდა ის გულქანდები, მაგრამ მაინც ავკრიფე და არ ვიცი, რატომ, შევინახე, თინიკომ ცოტა ხანს მდია უკან და მერე თავი დამანება.

მეორე დღეს, როგორც ყოველთვის, სკოლაში ერთად წავედით, მაგრამ არაფერი შემიმჩნევია. სკოლიდან თინიკო თვალცრემლიანი დაბრუნდა, არავის არაფერი არ გვითხრა, მხოლოდ უფროს ძმას გოგის ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

გავიდა, მგონი, ორი დღე. კიბის თავში მე და თინიკო გაოცებულები შევჩერდით, ოთახიდან ხმამაღალი სიცილი გამოდიოდა. თურმე, ნუ იტყვით, კრიალა გულქანდები თინიკოს სუყველა ერთად გაუკეთებია კაბაზე. სკოლაში კი მასწავლებელს წაურთმევია და მშობელი დაუბარებია. ეტყობა, ეს უთხრა თინიკომ იმ დღეს გოგის საიდუმლოდ. გოგი წასულა სკოლაში, გულქანდები უკან მოუტანია და სწორედ ამაზე იცინოდნენ ასე გულიანად ჩვენი დედ-მამა და ძმები.

ახლანდელ ლენინის მოედანზე უზარმაზარი თეთრი შენობა იდგა. ამ სახლს ქარვასლას ეძახდნენ და შიგ გახურებული ვაჭრობა მიდიოდა. რა გინდოდა, სულო და გულო, იქ რომ არ იყიდებოდა, მაგრამ ყველაზე კარგი მაინც ხმელი ხილისა და აღმოსავლური ტკბილეულის განყოფილება იყო.

ქარვასლიდან ყაყანი გამოდიოდა. მამამ ქარვასლისკენ გადაუხვია და თაღებში შევედით. ატყდა ერთი აურზაური. ყველა ერთად ეპატიჟებოდა მამას. მამა ოდნავი ქუდის მოხდით ესალმებოდა ვაჭრებს და იღიმებოდა. მერე უზარმაზარ დარბაზში შევედით. ფართო დახლები ჭრელ მინდვრებს დამსგავსებოდა. ღიღილოებს, კესანეებს, ყაყაჩოებს, იორდასალამს, აკაციის ყვავილებს, იებს, ვარდებს აეჭრელებინათ ჩითები, ჩითებს კი — დახლები. დახლებში ნაგანლათიანი, მხიარული კაცები იდგნენ. ყოველ მათგანს სხვადასხვა ფერის ჩითის ნაჭრები ეკიდა მხარზე.

დავბანინ. თვალები ამიჭრელდა. ვინ რას ამბობდა, არაფერი მესმოდა, მამაჩემის ხელს მაგრად ვაჭერდი თითებს, ვცდილობდი, რომ მის მკლავს ამოვფარებოდი და მხოლოდ ცალი თვალით მეცქირა.

— აქეთ, აქეთ მობრძანდით, ბატონო! აბა, ჩემო პატარა ქალბატონო, აქეთ გამოიხედე! ნახე, ნახე, რა ლამაზია! ვახ! რამოდენა ნაწნავები აქვს, გენაცვათ! არ გამძიმებს? — ისე ჩამეკითხა, თითქოს ძველი ნაცნობი იყო ჩემი.

მამას ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. უხმოდ მივიდა, სალამზე ზრდილობიანად უპასუხა და მე ჩამომხედა.

ვაჭარმა ჩითის თოფში ხელი შეაცურა, მეორეთი აატრიალა და გამოშალა თეთრი გვირილებით მოჩითული ცისფერი ნაჭერი.

— ნახე! რა ლამაზია, ა? მოგწონს? გენაცვალე, პატარა ქალო? ეხლა ეს ნახე, ღიღილოებიანია, ამას კესანე როგორ დაჰკვდომია?! რა მოგიხდება, რას დაგხატავს!

— რა ენად გაიკრიფა, ქაა! — თქვა ვიღაცამ და უკან მოვიხედე. გვერდით ჩიხტიკოპიანი, ლეჩაქგადაფრიალებული ქალი ამოგვდგომოდა, მკლავზე ზიმბელის კალათი ეკიდა.

— ქალბატონო, გაწყენინე? იქით მიბრძანდი. საქოს უფრო ლამაზები აქვს... — მკლავები ისე ერთდროულად მოწყვეტით გაიქნია მეორე დახლისაკენ ჩვენმა ვაჭარმა, რომ გამეღიმა და მამას ავხედე. მამას თვალები დაეხარა, ტუჩებით ოდნავ იღიმებოდა, ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, გასცინებოდა, მაგრამ არ კადრულობდა.

ლეჩაქიანმა ქალმა კალათიანი ხელით კაბა აიკეცა, ტუჩები მოპრუწა და ჩუმად ქოქოლა მიაყარა ვაჭარს, მაგრამ მან მაინც შეასწრო თვალი.

— დიდი მადლობა, ქალბატონო! — განიერ მკერდზე მიიდო ბეჭდიანი ხელი. — თქვენ არ გეწყინოთ, — ჩვენ მოგვიბრუნდა ისევ. — ამოირჩიეთ უკვე?

— შენი ჭირიმე, ოღონდ სწრაფად, ყველანაირი თითო საკაბე გადაუჭერ ხომ იცი... რამდენიც სჭირდება.

— ვიცი, მაშ... მაგის დარდი არ გქონდეთ, ბატონო, მეტი რა ვიცი, — ისევ მე გამიცინა.

ფრიალებდნენ მოხატული ჩითები, იკეცებოდნენ, იხვეოდნენ და ჩემს წინ ცისფერი ვიწრო ზონარით შეკრულები ლაგდებოდნენ.

— სად წევიღო, ბატონო? — ცქმუტავდა წითელბლუზიანი იმერელი ქარვასლის ბიჭი და თან ჩვენს ნაყიდებს შეშის ნაპობებივით იწყობდა მკლავზე.

— ფაეტონში ჩააწყვე, — უთხრა მამამ, — სხვა საყიდლებსაც მოვათავებ და მოვალ.

ბიჭი ხალხს შეერია და გაქრა. გული ამიძგერდა, შემეშინდა, მაგრამ მერე ისევ მამის იმედი მომეცა — ვინ გაუბედავდა რამეს.

მეორე დარბაზში ნაირ-ნაირი ფერის, ოქროს სირმით გაწყობილი ქალამნები და თეთრი, ამოჭრილყვავილებიანი ლოსის სანდლები იყიდებოდა. აქაც ატყდა აურზაური. ყველა ერთად გვეპატიჟებოდა. მამა ინით წვერ-ულვაშშეღებილ თათარ ვაჭართან მივიდა. ერთმანეთს მიესალმნენ. ვაჭარი დახლზე მუცლით გადმოწვა და ჩემკენ გადმოიხარა, ფეხებზე დამხედა.

— ყველაფერი ვიცის, ბატონო. ზიუსტად მოგართმევთ. რა ფრის გნიბავს?

დახლის ზემოთ ქანდარებივით მიჭედებულ ჯოხებზე თასმებით ჩამოკიდებული ქალამნები წინ და უკან ტრიალებდნენ.

ჯერ თეთრს გავკარი თითი, მერე მწვანეს, იისფერს, წითელს.

— აი, ჩემო, ქოფციავ, ესენია შენი ზომა, — ეშლებოდა ქართული სიტყვები თათარს. — რომელი მოსწონს, ყველა ფერის მოსწონს? — გადმოაწყო ქალამნები. მეც ვართმევდი, მაგრამ ხელში არ მეტეოდა, ხან ერთი მივარდებოდა, ხან მეორე. ასაღებად რომ დავიხრებოდი, რაც მეჭირა, ისიც მივარდებოდა. არ ვიცი, როდემდე ვიწვალებდი ასე, ისევ მამა რომ არ მომშველებოდა. ღიმილით ამიკრიფა ცალ-ცალი, იატაკზე მოპნეული ქალამნები და დახლზე დააწყო.

— ყველა? — გაიხარა ვაჭარმა, ყვითელი კბილები გადმოყარა, გაგვიღიმა და სასაცილოდ დაიღმიჯა.

მამას ავხედე, მინდოდა გამეგო, მართლა ყველა ფერის შეიძლებოდა? მამამ რაღაცნაირად თვალებით დამაიმედა და ვიგრძენი, როგორ ავფრინდი მაღლა სიხარულისაგან, თითქოს დახლებსაც გადავუფრინე, მერე, როგორც სიზმარში, ისევ იატაკზე დავეშვი და იმერელი ბიჭი დავინახე. ის უკვე მიარბენინებდა ჩემს, ოქროსფერი სირმებით გაწყობილ ქალამნებს და ამოჭრილი ყვავილებით დამშვენებულ თეთრ ლოსის სანდლებს.

— რა ლამაზია, რა ლამაზია, ხო, ხო, ხო, რამდენს ირბენს ჩემი გოგო ამ ქალამნებით? — იცინოდა დედა და ყოველ ქალამანში უყრიდა თავის თხელ, ლამაზ თითებს.

ლოსის სანდლებს ცოტა ეჭვის თვალით შეხედა დედამ, მაგრამ მე მაინც არაფერი ვთქვი, ჩემი საიდუმლო გულში შევინახე და გავიფიქრე: „მოიცათ, ჩამოვალ შემოდგომაზე და ყველაფერს გაიგებთ, რატომაც მინდოდა ასე ლოსის სანდლები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამ წითელი, ვარდისფერი და მწვანე ფერის პეპლების საჭერიც მიყიდა.

დიდ მინდორზე იმ ზაფხულს ძალიან ბევრი პეპელა დაფრინავდა. ერთი საჭერი ერთ ამხანაგს მივეცი, მეორე — მეორეს, ჩემთვის წითელი დავიტოვე. მივრბოდი, მივრბოდი, მივსდევდი პეპლებს — ხან თითოოროლას, ხან ერთად აფრენილ რამდენიმეს. წამოვეპარებოდი, მინდვრის ყვავილზე მიყუჩულს ჩამოვაცმევდი გამჭვირვალე საჭერს და სულ მალე ისევ ავაცლიდი. გაბრუებული პეპელა ერთი წამით გაშეშდებოდა, მერე, გონს მოვიდოდა თუ არა, გაშლიდა ლამაზ ფრთებს და გაფრინდებოდა. ყველაზე დიდი სიხარული ეს იყო.

შინ დავბრუნდებოდი თუ არა, იმ წამსვე თეთრი ლოსის სანდლებს დავიხდიდი და ფეხებს დავყურებდი,

დამახატა თუ არა მზემ ყვავილები, მაგრამ ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო ნახატი.

ვიღაცამ თქვა, სველ კანს უფრო ეკიდება მზეო. მეც მდინარეში ჩავდგებოდი, მერე ლოსის სანდლებს ჩავიცვამდი, მზით გამთბარ სიპ ქვაზე ჩამოვჯდებოდი და ფეხებს სხივებს მივაფიცხებდი.

ზაფხული მალე გადის. შინ წასვლის დროც მოვიდა.

ერთი სული მქონდა, როდის შევაღებდი სახლის კარს და დავინახავდი ხელებგაშლილ დედას, თავშეკავებულ მამას, გულში რომ ჩაგვიკრავდა, მაგრამ არაფერს გვეტყოდა. ვიგრძნობდი იმ საამო, ფურისულას სურნელს, ჩვენს სახლში რომ ტრიალებდა, რომლის მსგავსიც არც მანამ და არც შემდეგ სხვის სახლში არ მიგრძვნია. რა იყო ნეტავ, რისი სურნელი ტრიალებდა — იმ ყვავილებისა, დედას რომ უყვარდა, იმ ალერსისა, დედამ რომ იცოდა, თუ იმ კეთილი სულისა, რომლითაც ჩემი დედა-მამა სუნთქავდა?..

— როგორ გაშავებულხართ, როგორ გაზრდილხართ ორივენი. სანადიროდ დადიოდი? — შეეკითხა მამა კოტეს, — ბანაობდი?

— შენ როგორ გარუჯულხარ, თმებსაც კი ოქროს ფერი დაჰკრავს, — სულს ძლივს ითქვამდა დედა სიხარულისაგან.

ვღელავდი, ჩემი საიდუმლოება უნდა გამემხილა. ერთ წამში წკარუნით შევიხსენი კრიალა შესაკრავები, ფეხებიდან სანდლები გავყარე და წითლად შეღებილ იატაკზე დავდექი. ხელები ზურგს უკან დავიწყვე და გამარჯვებული სახით ვიცინოდი.

— ღმერთო, ჩემო!.. — დედამ ხელი ხელს შემოჰკრა, — შეხედეთ! შეხედეთ! — გაოცებული ეძახდა მამას და კოტეს, — ფეხებზე როგორი ყვავილები დაუხატია! — გულწრფელად უკვირდა დედას და თან ცდილობდა, რაც შეიძლება დაბლა დახრილიყო და გაეგო, რითი იყო დახატული ტერფებზე ყვავილები.

— მე კი არა, დედა, მზემ დამახატა, მზემ! — ხმამაღლა გავიცინე და დედას მოვეხვიე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ აფხაზავა

ეს ნაბიჯი „ნატვრისთვალი“

აგერ უკვე სამი ათეული წელი ხდება, რაც პოპ-მუსიკის მძლავრმა ტალღამ დაჰკრა მსოფლიოს, ერთბაშად გააოგნა და თითქმის დაიპყრო იგი. „ბითლზი“, „როლინგ სთოუნზი“, „უინგსი“... თავდაპირველად აფრიკის ჯუნგლებსა და სავანებში შობილმა, ხოლო მერე ლონდონის, ჰამბურგის, ნიუ-იორკის სტუდიებში სახეცვლილმა და დახვეწილმა რიტმებმა უკანა პლანზე გადასწია და დაჩრდილა ყველა სხვა სახისა და ჟანრის მუსიკა, მათ შორის — ხალხურიც.

მაგრამ დგება წუთი, როცა იღლები ამ ხმამაღალი და ყოვლისმომცველი მუსიკისაგან, ფირფიტას გამოცვლი და უცებ ოთახი ივსება ფანტასტიკურად გასაოცარი „წინწყაროს“ ჰანგებით: მღერის ჰამლეტ გონაშვილი...

ყოველგვარი მუსიკის დედა ხალხური მელოდიაა და ადრე თუ გვიან აუცილებლად მას მიუბრუნდები.

•

როცა ჩვენს ეროვნულ სულსა და სახეზე ვლაპარაკობთ, ხანდახან გვავიწყდება, რომ ამ სახის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წილი ხალხურ სიმღერებსაც უდევთ. თუ ჩვილს აკვანშივე თანამედროვე რიტმებს ასმენინებენ და არა „იავნანას“, „სისა ტურას“ თუ „ციცინათელას“, მისგან სრულფასოვანი ქართველი არ გაიზრდება.

მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ ადამიანები, ვისაც კარგად ესმის ზემონათქვამი. ერთ-ერთი მათგანია კომპოზიტორი ჯემალ ადამაშვილი.

•

ათი წლის წინათ, 1978 წელს, თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანასთან შეიქმნა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი, რომელსაც „ნატვრისთვალი“ შეარქვეს (ანსამბლს ახლა ოფიციალურად ეწოდება სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული კულტურის რესპუბლიკური სასახლის ფოლკლორული ანსამბლი „ნატვრისთვალი“). მისი შექმნის ინიციატორი, პირველი და უცვლელი ხელმძღვანელი ჯემალ ადამაშვილია.

•

ათი წელი, ერთი შეხედვით, არცთუ ისე დიდი დროა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბავშვთა ფოლკლორულმა ანსამბლმა კეთილი სახელი და მაღალი ავტორიტეტი დაიმსახურა არა მარტო საქართველოში, არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, მისი გეოგრაფიული თვალსაწიერი:

რესპუბლიკის მასშტაბით — ზუგდიდი, თელავი, რუსთავი, კასპი, ქუთაისი, ხაშური, ბათუმი, სოხუმი...

საკავშირო მასშტაბით — მოსკოვი, მაგადანი, ტიუმენი, ბაქო, ტალინი, კამჩატკის პეტროპავლოვსკი, კიშინიოვი, არხანგელსკი, არტეკის პიონერული ბანაკი, ულიანოვსკი...

მსოფლიოს მასშტაბით — ბულგარეთი, ვიეტნამი, იუგოსლავია, ინდოეთი, რუმინეთი, პოლონეთი...

მარტო პოლონეთში ორჯერ იყო და 17 კონცერტი გამართა.

მარტო კამჩატკაზე ყოფნის 13 დღის განმავლობაში 16-ჯერ შეხვდა მაყურებელს.

ახლა ჯილდოები?

ოქტომბრის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხური შემოქმედების საკავშირო ფესტივალი — ლაურეატობა და დიდი მედალი.

1985 წელი, პროფტექგანათლების სისტემის ფოლკლორული ანსამბლების საკავშირო ფესტივალი კიშინიოვში — ლაურეატობა და ვერცხლის მედალი.

მედლები და საპატიო სიგელები, მიღებული ვარშავაში, პეტროპავლოვსკში, ჰანოიში, პლოვდივში, მოსკოვში, ბელგრადში...

სულ სხვა ეშხი აქვს ლია ცის ქვეშ ნამღერ „მარეგელს“

●

არ შეიძლება ანსამბლის რეპერტუარმა არ დაგაინტერესოთ.

მაგრამ ვიდრე რეპერტუარზე გეტყოდეთ, გაცნობებთ, რომ „ნატვრისთვალში“ ორი ჯგუფია: პატარა „ნატვრისთვალი“ — პირველი-მეხუთე კლასების მოსწავლეები, დიდი „ნატვრისთვალი“ — უფროსები, VI-XI კლასებისა.

პატარებს უფრო მარტივი რეპერტუარი აქვთ — ქართული ხალხური „მთიელის სიმღერა“, ამერიკული ხალხური „როცა ის მოვა“, პოლონური ხალხური „გუგული“, რუსული „ჩუნგა-ჩანგა“, „მამალი“, ანსამბლის ხელმძღვანელის სიმღერები: „ლახტი“, „მზე იცინის“, „იმერული ესკიზები“...

დიდი „ნატვრისთვალი“ უფრო მაღალ მწვერვალებს უტევს. მის რეპერტუარშია ურთულესი ქართული ხალხური სიმღერები, რომელთაც

ისევ 2000

რიდის იწყება მესამე ათასწლეულის?

რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ჩვენი საუკუნის ღასასოულს, მით უფრო ხშირად ჩნდება ხოლმე ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სათაურები — „2000 წლის ავტომობილი“, „ჩვენი შვილები მშვიდობით უნდა შეხვდნენ 2000 წელს“, „2000 წლის მისადგომებთან“ და მისთანანი. ამასთანავე იგულისხმება, რომ, მაგალითად, 2000 წლის ავტომობილი ახალი საუკუნის პირველი წლის ავტომობილია, ან კიდევ, 2000 წელი იქნება 21-ე საუკუნის პირველი წელი და ა. შ.

მაგრამ ეს არასწორია.

2000 წლის ზღურბლია 1999 წლის 31 დეკემბრის შუაღამე, როცა დგება ახალი, 2000 წლის 1 იანვარი. ამ მომენტისათვის გასულია მეოცე საუკუნის, ანუ მეოცე ასწლეულის 99 წელი. ამ საუკუნის უკანასკნელი წელი 2000 წელია, და 21-ე საუკუნე დგება 2000 წლის 31 დეკემბრის ღამის 12 საათზე, იმ წამს, როცა დაიწყება 2001 წლის 1 იანვარი.

თქვენ ალბათ იცით, რომ ახალ წელთაღრიცხვას სათავე დაედო იესო ქრისტეს დაბადებიდან. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ იგი დაიბადა 0 (ნული) წლის 1-ლ იანვარს (ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა ზღვარზე). 100 წელი რომ ეცოცხლა, თავისი 100 წლის იუბილეს ქრისტე 100 წლის 31 დეკემბრის ღამის თორმეტზე, ანუ 101 წლის 1 იანვარს გადაიხდიდა. მაშასადამე, მეორე საუკუნე დაიწყო 101 წელს, მესამე — 201, მეცხრე — 801, მეათე — 1001, მეთვრამეტე — 1701, მეოცე — 1901 წელს, ხოლო 21-ე საუკუნე, შესაბამისად, 2001 წლის 1 იანვარს დაიწყება.

აღუფრთოვანებია ათასობით მსმენელი და მაყურებელი: კახური „წინწყარო“ და „მგზავრული“. აჭარული „შევარდენი“. მეგრული „მარეველი“ და „ერეხელი“. რაჭული „მრავალჟამიერი“. იმერული „მგზავრული“. ქართლური „იმა მთაზედა“ და „ოროველა“. გურული „სამი ძმანი გურულები“. თუშური „რა ლამაზია თუშეთი“. მუსიკალურ-ქორეოგრაფიული მონტაჟი „ლხინი სოფლად“, რომელიც საოცარი წარმატებით სარგებლობს, და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ...

ასევე რთულია ის ხალხური სიმღერებიც, რომლებსაც „ნატვრისთვალი“ საგასტროლო კონცერტებში ასრულებს: რუსული „კადრილი“ თუ „ქალინკა“, ბერძნული „აგიოს“, იუგოსლავიური, ბულგარული, პოლონური ჰანგები...

სალამურის საამო რაკრაკი, ჩონგურის მათრობელა ღუღუნი საოცრად უხდება „მგზავრულს“ თუ „იმა მთაზედა“-ს...

●

მე მგონი, დადგა დრო, უფრო ახლოს გაიცნოთ ანსამბლი და მისი ხელმძღვანელი.

ოცდაათი წელია, ჯემალ ადამაშვილი ქართულ საბავშვო მუსიკას ემსახურება. იგი პედაგოგად მუშაობდა თბილისის რამდენიმე საშუალო სკოლაში, მე-3 სამუსიკო სასწავლებელში, საესტრადო-საცირკო სასწავლებელში, განათლების მუშაკთა კულტურის სახლში... არის სამასამდე საბავშვო სიმღერის ავტორი. ამრიგად, მისი საქმიანობა ძირითადად ბავშვებთანაა დაკავშირებული, თუმცა არც „სადიდო“ მუსიკას ივიწყებს. დაწერილი აქვს სიმფონიური პიესები, საფორტეპიანო პრელუდიები სპექტაკლებისათვის, კონცერტი საყვირისათვის, გააფორმა რამდენიმე კინოფილმი (აღდგენილი და ახალი), მათ შორის — სულ ახლახან — ორსერიიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „სვანეთის საგანძურები“...

ბოლო ათ წელიწადში ჯ. ადამაშვილის მთავარი საზრუნავი „ნატვრისთვალია“. მას ახმარს იგი თავისი დროისა და ფიზიკური თუ შემოქმედებითი ენერგიის უდიდეს ნაწილს. სამაგიეროდ, არც „ნატვრისთვალი“ რჩება ვალში, გულს უხარებს, თავისი ახალი წარმატებებითა და მიღწევებით ორმაგად უხდის სამაგიეროს საყვარელ ხელმძღვანელს. აი, ისინიც, პატარა ნატვრისთვალელები — დები დიანა და მაია ჭოტაშვილები, ნათია გიგაშვილი, ეკა ერაძე, ეკა უთმელიძე, ლევან გოცირიძე, ლევან შაკიაშვილი, სოფიკო ჩურცილავა... დიდი ნატვრისთვალელები — გია და მამუკა დორეულები, ნინო ადამაშვილი, ნინო ლომთათიძე, მარიამ სირაძე, მამუკა სვანიძე, შორენა მანძულაშვილი... ანსამბლის „უხუცესი“ წევრები, მოცეკვავეები ალეკო კაკაშვილი, გოგიტა და რაფიელ სურამელაშვილები... ყველას, რა თქმა უნდა, ვერ ჩამოვთვლით.

●

ერთი რამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: „ნატვრისთვალი“ საქართველოს ერთადერთი ანსამბლია, რომლის ყველა მონაწილე არა მარტო მღერის ხალხურ სიმღერებს, არამედ უკრავს კიდეც ხალხურ საკრავებზე — ცალ-ცალკეც და ერთდროულადაც. ალბათ ამიტომაა მისი ყოველი კონცერტი ასე მომხიბლავი და წარმატებული, და კიდევ იმიტომაც, რომ ყოველთვის უდიდესი სიყვარულითა და სიამოვნებით ასრულებენ ურთულეს და უტკბეს მშობლიურ ხალხურ სიმღერებს — ჩვენი ქართველობის ერთ-ერთ უცხადეს დასტურს.

„ნატვრისთვალი“ ჯერ მხოლოდ ათი წლისაა. წინ კი კიდევ ბევრი ლამაზი იუბილე ელის — 20, 50, 100...

ფოტო
დ. იაკობაშვილისა

იცოდეთ

ალბათ შენიშნეთ, რომ საუკუნის ბოლო წლები ნულებით თავდება (1000, 1300, 1900, 2000). ეს ნულები ზოგიერთებზე მაგიურად მოქმედებენ. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შიშით ელოდნენ 1000 წლის დადგომას, რადგან ეგონათ, რომ მერე „აღარაფერი იქნებოდა“, ყველაფერი მოისპობოდა.

„ნულების მაგიით“ გამოწვეული შეცდომა ხშირად გვხვდება. ცნობილია პეტრე პირველის მაგალითი: მისი ბრძანებით რუსეთში ახალი საუკუნის დადგომა 1700 წლის 1 იანვარს იზეიმეს. სტენდალი თავის რომანში „ლიუსიენ ლევენი“ წერს: „ჩვენი ხალხი აზროვნების სიმაღლეებს მხოლოდ 1900 წლისთვის მიაღწევს“. კ. პაუსტოვსკი ანდერსენის ზღაპრებისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში ამბობს: „ეს მოხდა 1899 წლის 31 დეკემბრის ზამთრის საღამოს — მეოცე საუკუნის დადგომამდე რამდენიმე საათით ადრე“. ყველაზე საკვირველი კი ისაა, რომ ცნობილი ისტორიკოსი ა. მანფრედი თავის წიგნში „ნაპოლეონ ბონაპარტი“ ხაზგასმით აღნიშნავდა: „იწურებოდა 1799 წელი. იწურებოდა საუკუნე...“ და მერე: „1799 წლის — მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელი წლის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში...“

მაგრამ აი, რას ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში კარლ საგანი, ცნობილი ამერიკელი ასტრონომი: „მარსის მიმართულებით პილოტირებული ხომალდის გაგზავნის თარიღი — 2001 წელი — მე სიმბოლურად შევაჩერე, როგორც დასაწყისი ახალი საუკუნისა“. ერთი სიტყვით, ახალი, 21-ე საუკუნე დადგება მაშინ, როცა თქვენს კალენდარს უკანასკნელ — 2000 წლის 31 დეკემბრის ფურცელს ახევთ და გადაშლით ახალ კალენდარს, რომლის პირველ ფურცელს ასე აწერია: 1 იანვარი, 2001 წელი...

„ნაუკა ი ჟიზნ“

ვიქტორინა -კონკურსი

გთავაზობთ „პიონერის“ მე-10 ნომერში გამოქვეყნებულ ვიქტორინა-კონკურსის მესამე, დამამთავრებელი ეტაპის კითხვათა პასუხებს. შეაჯერეთ ისინი თქვენს მიერ მოფიქრებულ პასუხებთან.

1. საბჭოთა კავშირის უმაღლესი მწვერვალია კომუნიზმის პიკი. მისი სიმაღლეა 7295 მ ზღვის დონიდან; მდებარეობს პამირის მთიან სისტემაში. ქართველი მთამსვლელები კომუნიზმის პიკზე ახალი გზით, ღარმოს მყინვარიდან ავიდნენ. ამ გზას „ქართველთა გზას“ უწოდებენ.

2. საქართველოს ალპური კლუბი (პირველი საბჭოთა კავშირში) დაარსდა 1936 წელს. გამოჩენილი მთამსვლელის, ალიოშა ჯაფარიძის სახელი მას 1945 წელს ეწოდა.

3. გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა ნიკოლოზ ტიხონოვმა ლექსი უძღვნა ალექსანდრა ჯაფარიძეს — პირველ ქალს, რომელმაც უშბა დაიპყრო.

4. „კაცხის სვეტი“, 50 მეტრის სიმაღლის კლდოვანი შვერილი, ჭიათურის რაიონში, სოფელ კაცხში მდებარეობს. წლების განმავლობაში მასზე ასვლა ვერავინ მოახერხა. მხოლოდ 1944 წელს მთამსვლელთა ჯგუფმა ალიოშა ჯაფარიძის, ლევან გოთუას, ვახტანგ ცინცაძის შემადგენლობით (სამაშველო ჯგუფის წევრი იყო აკაკი ბელიაშვილი) ალპინისტური ტექნიკის გამოყენებით შეძლო მასზე ასვლა. ჯგუფის წევრებმა IV—V სს პატარა ეკლესიის ნანგრევები, ადამიანის ჩონჩხი და კერამიკის ნაშთები იპოვნეს. ადრინდელ შუა საუკუნეებში აქ მონოფიზიტ განდეგილთა სამყოფელი ყოფილა. კაცხის სვეტზე ლევან გოთუას დაწერილი აქვს მოთხრობა „კაცხის სვეტის საიდუმლოება“.

5. არსებობს ვაჟა ფშაველას სახელობის ორი მწვერვალი: ერთი მდებარეობს ტიან-შანზე, მწვერვალ გამარჯვების მახლობლად; მეორე — აღმოსავლეთ კავკასიონზე, ხევსურეთში, მწვერვალ კიდეგანთან. ორივე მწვერვალზე პირველი ასვლები ქართველ მთამსვლელებს ეკუთვნით.

6. მ. ხერგიანის საკავშირო მემორიალი კლდეზე ცოცვაში ყოველწლიურად ტარდება გაგრის მახლობლად, მდინარეების — ბზიფის, იუფშარასა და გეგას ხეობებში.

7. აკადემიკოს ნ. კეცხოველის პირველი მხატვრული ნაწარმოები მთამსვლელობაზე არის „თოვლიან მთებში“, სადაც აღწერილია ასვლა იალბუზზე და შემდეგ სვანეთში გადასვლა 1925 წელს.

8. ფეხსაბიჯები იხმარება თოვლზე სასიარულოდ. ისინი მზადდება ხის წნელისა და ტყავის თასმებისაგან. საქართველოში მას მაღალმთიან რაიონებში იყენებდნენ (ძირითადად — მონადირეები). 1971 წ. ალუმინის ფეხსაბიჯებით მწვერვალ არაგაწზე ავიდნენ ქართველი მთამსვლელი ქალები. ამ ასვლის დროს მოწმდებოდა ფეხსაბიჯების ვარგისიანობა დიდთოვლობის პირობებში არა მარტო სპორტული ასვლებისათვის, არამედ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოსაყენებლადაც.

9. შხელდა-უშბის მწვერვალების სარეკორდო ტრავერსი ჩატარდა 1950 წელს; ხელმძღვანელობდა კაკო მარი, მონაწილეობდნენ ბექნუ ხერგიანი, ჰიჰიკო ჩართოლანი, მაქსიმე გვარლიანი, გოჯი ზურგიანი. ამ ასვლის მონაწილეებს საკავშირო სპორტკომიტეტმა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა.

10. ლოპოტის მარმარილო აღმოაჩინა ცნობილმა მთამსვლელმა სიმონ ჯაფარიძემ (ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების ძმამ).

1. დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ხერგიანი“ და „ვიტორიო სელა“ შექმნეს სცენარის ავტორმა და რეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა და ოპერატორმა იური ბარამიძემ.

12. სპელეოლოგია გამოქვაბულების შემსწავლელი მეცნიერებაა. ჩვენში ამ ტერმინს მეცნიერულ-სპორტული-ტურისტული აზრით ხმარობენ.

13. მთამსვლელებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ბუნებრივი და ხელოვნური გამოქვაბულების კვლევასა და შესწავლაში. პირველი ტიპის გამოქვაბულების კვლევა-შესწავლის საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით პროფესორ ლევან მარუაშვილს, ზურაბ ტინტილოზოვს, ჯუმბერ ჯიშკარიანსა და სხვებს, ხოლო ხელოვნური გამოქვაბულების შესწავლაში მთამსვლელებს — ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებს, კოტე ჯავრიშვილს, გურამ თიკანაძეს, ალექსი ნემსიწვერიძეს, ლევან გოთუას და სხვ.

14. სსრკ სპორტის ოსტატები — მ. ხერგიანი, შ. მარგიანი, ლ. გურჩიანი, ი. თურმანიშვილი, თ. ქიტუაშვილი, ვ. საბანაძე; ოსტატობის კანდიდატები — ზ. ქიტუაშვილი, ნ. დიდებულიძე და სხვები.

15. მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი (ჯომოლუნგმა) ჰიმალაიში მდებარეობს. მისი სიმაღლეა 8848 მ ზღვის დონიდან. საბჭოთა მთამსვლელებმა პირველად დაიპყრეს 1982 წელს ახალი გზით, სამხრეთიდან (კლდოვანი მარშრუტით).

ბებერი დედოფლისა და ახალგაზრდა გლეხის გოგოს ამბავი

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ას წელს მიტანებული, მიხრწნილი დედოფალი. დაჩაჩანაკებულს პირში არც ერთი კბილი არ შერჩენოდა და თმა სულ გასცვენოდა. თავი საქანელასავით უქანავებდა. სათვალითაც ვეღარ ხედავდა. ცხვირი და ნიკაპი გაერთიანებოდა. ნახევრად მოკუნტული, მოკრუნჩხული, ერთი გონჯი რამ იყო.

ფერია, რომელიც მის დაბადებას ესწრებოდა, ერთხელ მივიდა მასთან და უთხრა: „გინდა, დაგიბრუნდეს სიყმაწვილე“? მაგას რა სჯობიაო, — უპასუხა დედოფალმა, — მთელ ჩემს განძეულობას გავცემ, ოცი წლისა რომ გავხდეო. მაშ, მოძებნეთ ვინმე ახალგაზრდა და გაუცვალეთ თქვენი სიბერეო, — უთხრა ფერიამ, — ვნახოთ, თუ გამოჩნდება ისეთი, თქვენს ას წელს რომ მოისურვებსო.

დედოფალმა დიდხანს ეძება ისეთი ვინმე, ახალგაზრდობას სიბერეში რომ გაცვლიდა. ბევრი ღატაკი მოაწყდა, რომელთაც სიბერე ერჩიათ, ოღონდ გამდიდრებულიყვნენ. მაგრამ როცა დაინახეს გადაღრძუებული, ერთი რამ მყრალი, უგვანო, ტკივილებით აწრიპინებული, სულ სისულელეების მჩმახავი დედოფალი, გამუდმებით რომ ახველებდა, იფურთხებოდა, ხროტინებდა, ფაფას ათხლაპუნებდა, ყველა გაექცა, არავის უნდოდა მისი სიბერე; თავიანთი ძონძები და მათხოვრობა ერჩიათ ასეთ სიმდიდრეს. მოდიოდნენ პატივმოყვარენიც, რომელთაც დედოფალი მაღალ წოდებასა და დიდ თანამდებობას პირდებოდა. რა შავქვად გვინდა წოდებაო, ამბობდნენ მისი დანახვისას, ასეთი გონჯი და ქოფაკი ვის წინაშე უნდა წარვდგეთო.

ბოლოს გამოჩნდა ერთი სოფლის მზეთუნახავი, რომელიც თანახმა იყო, ახალგაზრდობა გვირგვინში გაეცვალა. მას პირონელა ერქვა. დედოფალი ჯერ განრისხდა. მაგრამ რა გზა ჰქონდა? ნეტა რიღასთვის ბრაზობდა? განა ახალგაზრდობა არ ერჩია? ჰოდა, გავცვალოთ ჩემი სამეფო და შენი სინორჩე, შენ ერთ ნაწილს გაჩუქებ, მე მეოთხედი ვიქეფებ, შენთვის ნახევარიც საკმარისი იქნებაო. ნახევარი რა მაქნისია, მე მთელი სამეფო მინდაო, — უპასუხა გლეხის გოგომ. — წაიღეთ ჩემი გლეხისქალობა, ჩემს სინორჩესთან ერთად, და მომეცით თქვენი ასი წელი, მოახლოებულ სიკვდილთან ერთადო. რა უნდა ვქნა, როცა სამეფო აღარ მექნებაო, — საგონებელში ჩავარდა დედოფალი. რა და, იცინეთ, იცეკვეთ, იმღერეთ... საქმეს რა დაღევსო, — უხსნიდა პირონელა. დედოფალს ვერ წარმოედგინა ყველაფერი ეს და უთხრა: შენ რას გააკეთებ ჩემს მაგივრად, შენ ხომ არც იცი, სიბერე რა არისო. არ ვიცი, — უპასუხა გლეხის გოგომ, — მაგრამ ძალიან მინდა, ერთხელ მაინც გავხდე დედოფალი, ჩემს გემოზე რომ ვიცხოვრო, ყველა ხომ დედოფლობას ნატრულობსო.

ამ ვაჭრობაში იყვნენ, როცა მოვიდა ფერია და უთხრა გლეხის გოგოს: — გინდა გახდე დედოფალი, რომ გაიგო, შესძლებ თუ არა დედოფლობასო? რატომაც არაო? — უპასუხა გლეხის გოგომ. მაშინვე ნაოჭებით დაეფარა შუბლი, თმები გაუთეთრდა, ბუზღუნა და პირქუში გახდა, თავი აუცახცახდა და კბილები მოერყა. გოგო უკვე ასი წლისა იყო. ფერიამ ყუთი გახსნა და იქიდან ურიცხვი ამალა ამოვიდა, ყველა გარს ეხვეოდა ახალ დედოფალს. დიდი ღრეობა გამართეს, მაგრამ ახალ დედოფალს არაფერი ახარებდა, ყველაფერი ეზიზღებოდა, საჭმლის ღეჭვაც არ შეეძლო, გაოგნებული და დარცხვენილი იჯდა, არ იცოდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა, ახველებდა, თავს აქიცინებდა, ნიკაპზე იფურთხებოდა, ცხვირიდან წებოვანი სითხე ჩამოსდიოდა და სახელოთი იწმენდდა. სარკეში ჩაიხედა, იქიდან მაიმუნივით გონჯი რამ იყურებოდა. ამასობაში იქვე, კუთხეში, დედოფალი ახალგაზრდავდებოდა

და ნელ-ნელა მშვენდებოდა. თმები და კბილები ამოუვიდა, სახე გადაეტკიცა და შეუფერადდა, ნელ-ნელა წელში გაიმართა და გადაიფურჩქნა: მაგრამ ტურტლიანი იყო, მოკლე ბოლო კაბით, ჭუჭყიანი, ნაცარში ამოსვრილი ტანსაცმლით. იგი მიჩვეული არ იყო ასეთ სამოსს. მცველებს მსახური ეგონათ და გაგდება დაუპირეს. მაშინ პირონელამ უთხრა: გატყობთ, დედოფლობას მისტირით, რაღა დაგიმალოთ და მეც ვნანობ; არა, აიღეთ ეს თქვენი გვირგვინი და დამიბრუნეთ ჩემი ჭუჭყიანი სამოსი. მაშინვე გაცვალეს. როგორც კი მორჩა გაცვლა-გამოცვლა, ორივეს გული დაწყდა. მაგრამ გვიანი იყო, ფერიამ ორივე თავ-თავიანთ მდგომარეობაში დატოვა. დედოფალი ყოველ დღეს ტირილში ატარებდა, თითის ტკივილიც კი აღიზიანებდა: ეჰ! პირონელა რომ ვიყო, ახლა სადმე ქოხში ვიცხოვრებდი და წაბლს ვახრამუნებდი; ფლეიტის ხმაზე თელების ჩრდილში მწყემსებთან ერთად ვიცეკვებდი, რა თავში მიხლია რბილი საწოლი, თუ წოლისას ყველაფერი მტკივა და ამდენ ხალხს, გარს რომ მახვევია, არ შეუძლია ჩემი შველა. მწუხარებამ სატკივარი გაუთკეცა. კვლავ დაეხვივნენ ექიმები, მაგრამ დედოფალმა ორი თვეღა იცოცხლა.

პირონელა ნაკადულის პირას თავის თანატოლებთან ერთად გაცხარებულ ტაშ-ფანდურის დაკვრაში იყო, როცა დედოფლის სიკვდილის ამბავი გაიგო. მაშინღა მიხვდა, რაოდენ ბედნიერი იყო, უარი რომ თქვა სამეფოზე. ფერია მოვიდა მის სანახავად, ამჯერად სამი საჩუქრით: სამი საქმროდან ერთ-ერთი ამოირჩიეო. ერთი ბებერი იყო, — უჟმური და ეჭვიანი, მკაცრი, მაგრამ მდიდარი, დიდი თანამდებობისა და გავლენიანი კაცი. მეორე — შესახედად მშვენიერი, მშვიდი, მარჯვე, თავაზიანი, კეთილშობილი წარმოშობისა, მაგრამ ღარიბი და ხელმოცარული იყო ყველაფერში. მესამე — მასავით გლეხი, არც უშნო, არც ლამაზი, არც მდიდარი, არც ღარიბი, სიყვარულიც ზომიერი იცოდა. გოგო საგონებელში ჩავარდა, ძალიან მოსწონდა მდიდრული ეკიპაჟები და ტანსაცმელი — პატივმოყვარე იყო. მაგრამ ფერიამ ურჩია: რა სულელი ხარ, რას ფიქრობ, შეხედე ამ გლეხს, აი, შენთვის შესაფერი საქმრო; პირველს ეყვარები, მეორე შენ გეყვარება, მაგრამ ორივესთან უბედური იქნები; არ გირჩევნია, პირონელა იყო და გვიმრის ჩრდილქვეშ იტლინკაო, ვიდრე სასახლის მაღალ საზოგადოებაში თავ-ბედს იწყევლიდეო. დაანებე განდიდებისაკენ ლტოლვას თავი და მთელი სიცოცხლე შენს მშრომელ ქმართან ერთად ბედნიერი იქნებიო.

ფრანგულიდან თარგმნა
როენა ყენიამ

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესო სიახლენი

უძველესი ზეახალი

ყველაზე უფრო ძველი ცნობა ზეახალი ვარსკვლავის ანთების შესახებ ჩინეთშია შემონახული. ეს უნიკალური ცნობა ჩაწერილია ძვ. წ. XIV საუკუნეში კუს ბაკანზე. ამ ცნობაზე დაყრდნობით მეცნიერებმა ცაზე იპოვეს ის ადგილი, სადაც ზეახალი აინთო. ახლა იქ გამა-გამოსხივების წყაროა.

მწერლებისათვის...

ამერიკულმა ფირმა „სმიტ-კორონამ" გამოუშვა პორტატული საბეჭდი მანქანა, რომელიც ნიშანს იძლევა, თუ ტექსტში მეტისმეტად ხშირადაა ნახმარი ესა თუ ის სიტყვა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იგი მბეჭდავს ამ სიტყვის სინონიმსაც სთავაზობს.

ბუტერბროდს ამზადებს მანქანა

ახალგაზრდა ბერლინელმა გამომგონებლებმა გამოფენაზე გაიტანეს მანქანა, რომელიც პურის ნაჭერზე უსვამს კარაქს. ავტომატი საათში 3 ათასამდე ბუტერბროდს ამზადებს. იგი ძალზე შეეშველება საკვები კომბინატების, დიდი რესტორნებისა და სასადილოების მომსახურე პერსონალს.

ლითონი — იზოლატორი?

ლითონის ერთ-ერთი უმთავრესი დამახასიათებელი თვისება მაღალი ელექტროგამტარობაა, რაც მის კრისტალურ მესერში თავისუფალი ელექტრონების არსებობითაა განპირობებული. დასავლეთგერმანელმა ფიზიკოსებმა, რომლებმაც ცდისთვის ინდიუმის ფურცელი აიღეს, თანდათანობით გაათხელეს იგი. როცა ინდიუმის ფურცლის სისქე მიკრომეტრის მეათედამდე შემცირდა, ლითონმა დენი აღარ გაატარა — იგი იზოლატორად იქცა.

ამ ეფექტის ახსნა მხოლოდ კვანტური თეორიის საფუძველზე შეიძლება [illegible] რიის თანახმად, ელექტრონი ორბუნებოვანი რამ არის — იგი ნაწილაკია, მაგრამ აქვს ტალღის თვისებებიც. ლითონის უმცირეს ნამცეცში ამ ტალღას, ასე ვთქვათ, გასაქანი არა აქვს, მაშასადამე, ელექტრონ-ტალღა კარგავს მოძრაობის უნარს, ხოლო ლითონი — ელექტროგამტარობას.

თანამგზავრების მეშვეობით

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადს აქამდე კარგი ავტომატური სატელეფონო კავშირი ჰქონდა ყველა ევროპულ სახელმწიფოსთან. ახლა ბელგრადი დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა მეშვეობით საკონტინენტთაშორისო ავტომატური სატელეფონო კავშირის ქსელშიც ჩაერთო. მისი წყალობით ერთდროულად 400 ათას აბონენტს შეუძლია უშუალოდ თავის აპარატზე აკრიფოს ავსტრალიელი, იაპონელი, ჩრდილოამერიკელი, ახლო და შუააღმოსავლეთელი აბონენტის ტელეფონის ნომერი.

სადილი ბერიშზე გადადის

სტოკჰოლმის (შვეცია) ზოოპარკში ტერარიუმის სამმეტრიანი ბინადარი ანაკონდა მისთვის სადილად მომზადებულმა ზღვის ღორმა დაკბინა. გამწარებული ცხოველის ნაკბენი იმდენად ღრმა აღმოჩნდა, რომ ვეტექიმის სასწრაფო დახმარება რომ არა, გველს სიკვდილი ემუქრებოდა.

მხერხავები — ზუსტი ოსტატები

ამერიკის შტატ ალიასკაში, რომელიც ხეტყის მთავარი დამამზადებელია, ტყისმჭრელის პროფესია ერთ-ერთ საპატიო პროფესიად ითვლება. მხერხავების შეჯიბრებები მრავალ გულშემატკივარს იზიდავს. მონაწილეთა ოსტატობას იმით აფასებენ, თუ რამდენად სწრაფად და ზუსტად ჩამოახერხავენ ისინი თხელ წრეს ვერტიკალურად დამაგრებულ ხის მორს.

ბუნებრივი ანტიფრიზი

ცნობილია, რომ უმნიშვნელო ყინვის დროსაც კი მანქანის რადიატორში წყალი იყინება, ამიტომ მასში სპეციალურ ყინვასაწინააღმდეგო სითხეს — ანტიფრიზს ასხამენ, რომელიც გლიცერინს შეიცავს. ჩვენ ამ სითხეს არცთუ ისე დიდი ხანია ვხმარობთ. ბუნებაში კი, თურმე, კარგა ხანია ცნობილია.

ზოგიერთი მწერის მატლების სხეულში გლიცერინი შედის, იგი მათ ყინვისაგან იცავს. დადგინდა, რომ ჭიანჭველის სხეულში 10 % გლიცერინია, ეს კი საკმაოდ საკმარისია, რომ ჭიანჭველა ყინულის ნამცეცად არ იქცეს. სითბოში გლიცერინის შემცველობა ნულამდე ეცემა, სიცივეში კი ისევ წარმოიქმნება.

უხვი მოსავალი

კანადელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ხორბლის მოსავლიანობაზე დიდად მოქმედებს მისი თესვის მიმართულება. პური, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ითესება, უფრო სწრაფად იზრდება და უხვ მოსავალსაც იძლევა, ვიდრე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დათესილი. ასევე მოქმედებს თესვის მიმართულება ლობიოსა და სიმინდის მოსავალზე. ფიქრობენ, რომ ამ მცენარეებს განსაკუთრებული მგრძნობელობა აქვთ დედამიწის მაგნიტური ველის ხაზების მიმართულების მიმართ.

ხელგორკილიანი მონადირე

ერთმა მონადირემ შენიშნა, რომ როგორ გუნდი თანდათან მცირდებოდა. თურმე იქ, სადაც საოცრად ლამაზი ფრინველები საკორწილო ცეკვებს მართავდნენ, ხმაურობდნენ და დახტოდნენ, მათ ხშირად ესახმოდათ თავს ქორი. ერთხელ მონადირე დაუდარაჯდა მტაცებელს და ესროლა, მაგრამ მხოლოდ ფრთა დაუზიანა. იგი მიუახლოვდა დაჭრილ ფრინველს და აუვანა მოუნდომა, მაგრამ მყისვე ხელში მძლავრი კლანჭი ჩაერჭო. სცადა მეორე ხელით გათავისუფლებულიყო, მაგრამ ქორმა მეორე ხელიც ბრჭყალებით შეუბოჭა. ყოველი მოძრაობა აუტანელ ტკივილს იწვევდა. რა გაეწყობოდა. მონადირემ გულზე მიხუტებულ ფრინველთან ერთად 7 კილომეტრი იარა თავის სოფლამდე, სადაც მისმა მეზობლებმა იგი „ტყვეობიდან" გაათავისუფლეს.

ყავა მწერების წინააღმდეგ

ცნობილია, რომ ყავა აღაგზნებს ძუძუმწოვართა და, კერძოდ, ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემას. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ბოტანიკოსებმა არ იცოდნენ, თუ როგორ მოქმედებს ეს ალკალოიდი იმ მცენარეებზე, რომლებიც მას შეიცავენ — ყავაზე, ჩაიზე და ა. შ.

ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კოფეინის ეს ბუნებრივი ინსექტიციდი მცენარეებს მავნე მწერებისაგან იცავს.

დოქტორ ჯეიმს ნათანსონმა პრაქტიკულად დაამტკიცა, რომ კოფეინის დამატება ქიმიურ ინსექტიციდებში აძლიერებს პრეპარატის მოქმედებას. ეს კი საშუალებას იძლევა ისეთი შენაერთები დამზადდეს, რომლებიც მცენარეებზე მისხურებისას მოსპობენ მავნებლებს, ადამიანისათვის კი ხავსებით უვნებელი იქნებიან.

ბანა ასეა ყვავია რაჭმეულში?

მახსოვს, პიონერთა IX საკავშირო შეკრებაზე, არტეკის ბანაკ „ლენინაიაში", სადაც საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის წარგზავნილები იმყოფებოდნენ და პიონერთა ორგანიზაციის მომავალზე გაცხარებული კამათი მიმდინარეობდა, ითქვა, ეს მომავალი ბევრად არის დამოკიდებული პიონერულ თვითმმართველობაზეო. იგივე გაიმეორეს 1988 წლის ზაფხულში პიონერ-აქტივისტთა საკავშირო შეკრებაზე, რომელიც ისევ არტეკში გაიმართა.

საინტერესოა, რა გააკეთეს იმათ, ვინც არტეკში ორივე შეკრებაზე სხვებთან ერთად მომავლის კოშკებს აგებდა?

გაგაცნობთ რამდენიმე მაგალითს:

ყვარლის რაიონის სოფელ შილდის პირველი სკოლის რაზმეულს საკვალმაძიებო მუშაობის კარგი ტრადიცია აქვს. აქ პიონერთა სურვილით შეიქმნა საექსპედიციო რაზმი, რომელიც ლენინური კომკავშირის 70 წლისთავისათვის ემზადებოდა. კვალმაძიებლებმა საინტერესო მახალები შეაგროვეს საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმისათვის გადასაცემად. შეხვდნენ შილდელ პირველ კომკავშირელებს, პირველი კომკავშირული უჯრედის მდივნებს; მასალები შეაგროვეს შილდაში პიონერული ორგანიზაციის დამაარსებელ მაშინდელ მოწინავე კომკავშირელებზე, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტის, ომის ვეტერანის არჩილ კოკილაშვილის ცხოვრებაზე; შეისწავლეს დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომი პერიოდის კომკავშირელთა საქმიანობა, ჩაიწერეს საკავშირო ალკა XVIII ყრილობის დელეგატის, მევენახე თამაზ თოფჩიშვილის ნაამბობი, შეხვდნენ და სითბო არ მოაკლეს შილდელ პატრიოტ-ინტერნაციონალისტ დათო ასაბაშვილს... რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... ყოველივე ეს მონდომებით, დამოუკიდებლად გააკეთეს ეთერ ბაიდოშვილმა, ია იახტნიშვილმა, ზაზა ახალბედაშვილმა, ირმა კევლიშვილმა, მარინე ირემაშვილმა, ნინო ბაბელიშვილმა, მერი ბურდიაშვილმა, რაზმის ხელმძღვანელის დიმიტრი მჭედლიშვილის, რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარის მაია გურეშიძის, უფროსი პიონერხელმძღვანელის ლია კონტრაშვილის დახმარებით. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ლია ხელმძღვანელის ნათქვამი — ვეტერანების ძებნაში ჩემმა პიონერებმა რაიონის შორეული სოფლები ცხენებით შემოიარეს. დიახ, შილდელი პიონერები აკეთებენ იმას, რაც მოსწონთ; ყველა ისე გაიტაცა ხაძიებო მუშაობამ, მთელი ორი თვე სხვა აღარაფერი ახსოვდათ; კარგია, როცა პიონერებს საინტერესო საქმე გაიტაცებთ, გასაკეთებელს თვითონ მოძებნიან და თვითონვე აკეთებენ... ამ აზრისაა არიან თბილისის 87-ე სკოლის შოთა გამცემლიძის სახელობის რაზმის პიონერებიც (მეშვიდეკლასელები), ამ რაზმში ყველა აქტიურია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით; ისინი რაზმის მუშაობის ახლებურად გარდაქმნისა და საშეფო მუშაობისათვის კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტმა სიგელით დააჯილდოვა.

მაგრამ ყველგან ასე როდია...

ერთი სკოლის რაზმეულში საბჭოს წევრებს შევხდი. ვისაუბრეთ. ისინი ერთხმად ამბობდნენ, პიონერული თვითმმართველობა ჩვენთან არ არის, არც შეიძლება იყოს, ვერ ავაწყეთ, უფროსები ყოველ ნაბიჯზე ძიძებივით დაგვდევენ, ჩვენზე არაფერი არ არის დამოკიდებულიო.

ვერ დავეთანხმე. ვიკამათეთ.

მათდამი უფროსების ასეთი დამოკიდებულება საუბრის თემაა, არადა, ბავშვთა თვითმმართველობა თვით მათი საქმეა. ამაში იმ პიონერების დარწმუნება ვერ შევძელი, მაინც თავისზე იდგნენ — ჩვენს მაგივრად უფროსები ფიქრობენ, გეგმებსაც ისინი ადგენენო.

მათზე ფიქრი არ მასვენებს. ნუთუ არაფერია პიონერ-აქტივისტებზე დამოკიდებული? ნუთუ ძალა არ შესწევთ, თავიანთი პიონერული კოლექტივის ცხოვრება საინტერესო გახადონ? ნუთუ მათ უქნაროობაში უფროსი პიონერხელმძღვანელი და მასწავლებელი არიან დამნაშავენი? თქვენ რას იტყვით?

...ერთ-ერთ სკოლაში რაზმის საბჭოს შეკრებაზე მოვხვდი: თავიანთი საქმით გატაცებული უმაწვილები უურადღებას არ მაქცევდნენ.

ბრიგალური რგოლები წყალში

თქვენ შეიძლება გინახავთ, როგორ ამოვარდება ხოლმე მინდორში მომუშავე ტრაქტორის ვერტიკალური საქშენი მილიდან მუქი ფერის რგოლი, ჰაერში ტრიალით აიჭრება, ნელ-ნელა გაიშლება და გაუჩინარდება. ასეთ რგოლს ზოგჯერ სიგარეტის კვამლისაგან აკეთებენ თამბაქოს მწეველები, თუკი ამაში საკმარისად გავარჯიშებულნი არიან.

ეს ეგრეთწოდებული გრიგალური რგოლებია.

ასეთი რგოლის მიღება თქვენც თავისუფლად შეგიძლიათ. წყლიან აკვარიუმში (ან სხვა გამჭვირვალე ფართოპირიან ჭურჭელში) ჩვეულებრივი პიპეტით 2-3 სანტიმეტრის სიმაღლიდან ჩააწვეთეთ ერთი წვეთი მელანი (წყლის ზედაპირი მშვიდი, უძრავი უნდა იყოს). წყალში მაშინვე წარმოიქმნება მელნის გრიგალური რგოლი.

ეს თავისთავად საინტერესოა, მაგრამ უფრო საინტერესოა ის, რაც შემდეგ ხდება. ცოტა ხანში იწყება ჯაჭვური რეაქციის მსგავსი პროცესი: რგოლი რამდენიმე მომცრო რგოლად იყოფა, თითოეული მათგანი კიდევ რამდენიმე უფრო პატარა რგოლს „შობს" და მალე აკვარიუმში უცნაური ზღაპრული „ციხე-კოშკი" წარმოიქმნება.

როგორ და რატომ ხდება ეს?

თუ დაუკვირდებით, შენიშნავთ, რომ პირველადი რგოლის დაყოფას წინ უსწ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალუბი

...

რაზმის საბჭოს თავმჯდომარის სიტყვები მომესმა:

— რაზმის შეკრებისათვის უნდა მოვემზადოთ!

— დიახ, უნდა მოვემზადოთ! — დაუქნია ყველამ თავი რაზმის წინამძღოლს. — შეკრება აუცილებლად უნდა ჩავატაროთ.

რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ განაგრძო:

— მოდით, ისეთი რამ მოვიფიქროთ, რომ ეს შეკრება ყველასათვის საინტერესო იყოს!

ყველა გამოცოცხლდა. მეგონა, წინადადებათა ნიაღვარი წამოვიდოდა, მაგრამ პირიქით, — ყველანი ხმაგაკმენდილები ისხდნენ. მაშინ საქმეში რაზმის ხელმძღვანელი ჩაერია, შეკრება საინტერესოდ მოვიფიქროთო.

მაგრამ სიჩუმე არავის დაურღვევია, პიონერხელმძღვანელს თავად მოუხდა იმ შეკრების „სცენარის“ დაწერა. ხოლო აქტივისტები შემსრულებელ-მკითხველებად იქცნენ. მერედა, მართებულია ეს?

მეორე მაგალითი: ერთხელ ერთი სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს არჩილ დევდარიანს შევხვდი. დიდხანს ვისაუბრეთ. გამოირკვა, რომ მისი რაზმეულის საბჭოს ზოგიერთი წევრი უარს აცხადებდა დავალების შესრულებაზე.

— დავალება ხომ თვითონ აირჩიეს? — ვკითხე აჩიკოს.

— აირჩიეს, მაგრამ არ ასრულებენ, — მომიგო მან. — ბევრჯერ შევახსენეთ მოვალეობა, გვპირდებოდნენ, რომ უქნარობას ბოლო მოეღებოდა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა.

— მერედა, რატომ გყავთ ასეთები რაზმეულის საბჭოში?

— აბა, რა ვუყოთ? — გაოცა არჩილმა.

— გადაირჩიეთ. განა არ იცნობთ ამ საკითხზე IX საკავშირო შეკრების მითითებას?

აჩიკომ შუბლი შეიკრა.

— ცოდნი არიან. თანაც არცთუ იხე ცუდი „უმაწვილები“ არიან.

შევატყვე, თვითონაც არ იყო დარწმუნებული. რომ ისინი საქმეს ხელს მოკიდებდნენ, მაგრამ მაინც თავისას ამბობდა — დარჩნენ რაზმეულის საბჭოში, როგორმე ისედაც გავართმევ თავს მუშაობასო.

ცხადია, ასეთ მოჩვენებით აქტივისტებზე დაყრდნობით არჩილის რაზმეული შორს ვერ წავა. ისინი ხელს შეუშლიან დანარჩენებს მუშაობაში, ხელს გაუტეხენ რაზმეულის საბჭოს. ხოლო შექმნილ სიტუაციაში მხოლოდ და მხოლოდ რაზმეულის საბჭოა დამნაშავე.

იქნებ სწორი არა ვარ?

მოდით, ამაზეც იფიქრეთ და მომწერეთ.

სულ ახლახან ერთი სკოლის რაზმეულის საბჭოს წევრები გავიცანი. მათზე ადრეც მსმენია, საქმეს მონდომებით ეკიდებიანო. შეხვედრისას რაზმეულის საბჭოს წევრები ერთმანეთს არ აცლიდნენ მოყოლას. შეკრება მოვაწყეთ, საღამოდ ვიყავით, საღამოები ჩავატარეთო... მაგრამ, როგორც კი, საუბარი რაზმეულის მთელ მუშაობას შეეხო, სადღაც გაქრნენ ყოჩაღად მოსაუბრე აქტივისტები. აღმოჩნდა, რომ მათთან საინტერესო და ახალი ბევრი არაფერი იყო

გამიკვირდა, იმ ნაქებ რაზმეულში საბჭოს წევრები ცალ-ცალკე თავისთავში ჩაკეტილები რომ აღმოჩნდნენ. რაზმეულის საბჭოს წევრებმაც აღიარეს, პიონერებთან საფუძვლიანად ვერ ვმუშაობთ, მათ მოვწყდითო.

— საინტერესო საქმეს ვთავაზობდით...

— მათ კი არაფრის გაგონება არ სურდათ...

— რაკი არ სურდათ, ჩვენც მოვეშვით... — გაისმა აქეთ-იქიდან.

მათ არავინ უშლიდა ხელს, არც არავინ ძიძობდა და თუ „კოცონის“ მკითხველებიც ფიქრობთ, რომ ყველაფერი უფროსებზეა დამოკიდებული, მაჯთი ძიძობა გიშლით ხელს, მიიმბეთ, ნუთუ ყველგან ასეა?

თანამედროვე ცხოვრებამ, გარდაქმნის პროცესმა პიონერები დიდი გამოცდის წინაშე დააყენა. ამ საკითხზე იმსჯელეს და იკამათეს ხაშურისა და ზესტაფონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში შეკრებილმა იმ პიონერ-აქტივისტთა შეხვედრებზე, რომელშიც საკავშირო შეკრების დელეგატები მონაწილეობდნენ. შეკრებილები გაცხარებით კამათობდნენ იმაზე, თუ რა გაკეთდა შეკრების შემდეგ. გარკვევით ითქვა, ყველამ თვითონ უნდა გამონახოს საკუთარი რაზმის, რაზმეულის მუშაობის სტილიო. ერთი კია: — ყველა რაზმეული თუ რაზმი ერთმანეთს ვერ დაემსგავსება. ამიტომ კარნახს ნურავინ დაელოდება, დამოუკიდებლად, პიონერთა პირადი თაოსნობით უნდა წარიმართოს მუშაობა. ასე უფრო საინტერესო გახდება პიონერული ცხოვრება.

ნათელა ფაილოძე

წიგნზე უთქვამთ...

წიგნებთან ჩვენი ურთიერთობა ჰგავს ადამიანებთან ურთიერთობას: ჩვენ ხომ ბევრს ვიცნობთ, მაგრამ მეგობრებად, ცხოვრების გულითად თანამგზავრებად მხოლოდ ზოგიერთს ვირჩევთ ხოლმე.

ლუდვიგ ფოიერბახი

ნაწარმოებს, რომელსაც კითხულობენ, აქვს აწმყო; ნაწარმოებს, რომელსაც ხელმეორედ კითხულობენ — მომავალი აქვს.

ალექსანდრე დიუმა-შვილი

საუკეთესო წიგნებად ითვლება ისინი, რომელთა კითხვისას ყველას ჰგონია, ამას მეც დავწერდიო.

ბლეზ პასკალი

წიგნთან ურთიერთობა ადამიანის ინტელექტუალური განვითარების უმაღლესი და შეუცვლელი ფორმაა.

ალექსანდრე ტვარდოვსკი

ყოველგვარი სასიამოვნო საკითხავი გავლენას ახდენს გონებაზე, ურომლისოდაც ვერც გული იგრძნობს რამეს და ვერც ფიქრი წარმოიდგენს ვერაფერს.

ნიკოლაი კარამზინი

უმჯობესია იკითხო მატარებლის განრიგი ან კატალოგი, ვიდრე არაფერი.

სომერსეტ მოემი

მითხარი, რას კითხულობ და გეტყვი, ვინა ხარ.

შარლ გლანკი

წიგნი ადამიანს აძლევს ძალას, ამაღლდეს საკუთარ თავზე.

ანდრე მოროუა

მიყვარს წიგნები, ყოველი მათგანი სასწაული მგონია.

მაქსიმ გორკი

...რებს მასზე შემსხვილებათა წარმოქმნა, რომლებიც მერე მეორად რგოლებად გარდაიქმნებიან. ეს ხდება იმიტომ, რომ გარემო, რომელშიაც მელნის რგოლი მოძრაობს, არაერთგვაროვანია, მისი ზოგიერთი ნაწილი უსწრებს სხვას, ზოგიც, პირიქით, ჩამორჩება. მელანი (იგი უფრო მძიმეა, ვიდრე წყალი) ჩაედინება სითხის იმ ნაწილში, რომელიც წინ მიიწევს, და ზედაპირული დაჭიმულობის წყალობით წარმოიშობა შემსხვილებები. ამ შემსხვილებათაგან შემდეგ ახალი წვეთები ჩნდება. თითოეული წვეთი პირველადი გრიგალური რგოლისაგან დამოუკიდებლად არსებობს, და მცირე ხნის შემდეგ მისგან ახალი გრიგალური რგოლი წარმოიქმნება. ასე მეორდება რამდენჯერმე. „ციხე-ყოშკის“ „მშენებლობის“ პროცესი სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. საინტერესოა, რომ ჩატარებულ ათ ცდაში მეოთხე „თაობის“ რგოლთა საბოლოო რიცხვი ერთმანეთს არც ერთხელ არ დაჭთხვევია.

ჟურნალ „პიონერში" 1988 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი

პროზა

ბ. ვარაზანაშვილი — წინაპართა ნაკვალევზე, №№ 1, 2, 5.
ა. სერაფიმოვიჩი — სამი მეგობარი, № 1.
ნ. ლონდარიძე — როგორ ჩაეძინა შუქნიშანს, № 1.
ო. კიროგა — ნიანგების ომი. № 2.
ბ. ჰეიშვილი — ციხეკენ გაკვალული ბილიკი, № 3.
ე. ბენედეკი — ბრძნული რჩევანი, № 3; დაკარგული ცხენისა და პორტრეტის ზღაპარი, № 10.
ა. პლატონოვი — ყვავილი მიწაზე, № 3.
ლ. კუნეიცკაია, კ. მაშტაკოვა — ყველაზე ადამიანური ადამიანი, № 4.
ა. ლორია — დაუმთავრებელი ოქმი, №№ 4, 5.
ბ. გუთხუზი — ღრუბლიანი დღე, № 4.
ბ. დავითაია — მინადო ბებია, № 5.
ბ. კამოვი — გაიდარის ჩანთა, № 5.
ი. ბოგდანოვი — წყნარი საათი, № 5.
რ. ინანიშვილი — გახარებული მზე, № 6.
ა. კოგერიძე — გალავანი, №№ 6, 7, 8.
თქმულება ლოენგრინზე, № 6.
ნ. ქადაგიძე — ნებიერა, № 7.
ბ. მოჩალოვი — სამხილი, № 7.
ვ. ბერიაშვილი — ისტორია, № 8.
ვ. ოსეევა — ჩემი ამხანაგი, № 8.
მ. გელაშვილი — დონია კიხოტი და სხვები. №№ 9-11.
ჰ. ანდერსენი — ნამცეცა, № 9.
ა. შინგატიროვი — მტრედი, № 9.
ბ. ქოქრაშვილი — სიმღერების გამყიდველი, № 10.
ბ. ხეჩუაშვილი — ვართ კი ასეთნი? № 10.
ა. კონონოვი — შეხვედრა, № 11.
ბ. ტოგონიძე — ამბავი თეთრშუბლიანებისა, № 11.
თევზი და ბეჭედი (ზღაპარი), № 11.
ვ. ასლამაზიშვილი — გუგრუცანა. № 12.
დ. ვადაჭკორია — მზის დახატული ყვავილები, № 12.
ფრანგული ხალხური ზღაპარი, № 12.

პოეზია

თ. ჯანგულაშვილი — შიო მღვიმელის გახსენება, № 1.
ლ. ხარებათი — ბავშვს, № 1.
ჯ. ინჯია — ჩვენი დრო, № 1.
ა. მეგრელიშვილი — შრომა, № 1; ლექსები, № 4; ლექსები № 12.
ს. შამფრიანი — ლექსები, № 2; იგი მუდამ შენზე ფიქრობს, № 4; ლექსები № 11.
ბ. ჰიჰინაძე — ბაღნარში (პიესა) № 2.
თ. ძიძავა — ლექსები, № 3.
ბ. მეტრეველი — ლექსები, № 3; ლექსები, № 11.
ა. ბურგენიძე — ლექსები, № 3.
თ. კოგერიძე — ლექსები, № 4.
ტ. მეგურიშვილი — ლექსები, № 5.
მ. ჩხეტიანი — ლექსები, № 6.
ჯ. ასადი — ლექსები, № 7.
ე. გაგლიაშვილი — თუ ქარი არ ჰქრის, № 7.
დ. ივარდავა — ლექსები, № 8.
ბ. ძიძიკაშვილი — ლექსები, № 9.
ბ. ზაუტაშვილი — ლექსები, № 9.
ზ. გაფელაშვილი — ლექსები, № 9.
ზ. შამანაური — რომ კვლავ ერქვას ხაქართველო, № 9.

ა. მირცხულავა — კომკავშირი, № 10.
ნ. კილასონია — ამხანაგო კომკავშირო, № 10.
ა. აბულაშვილი — მომავალი თაობისადმი, № 10.
ლ. ბოგდებაშვილი — ლექსები, № 10.

პიონერული ცხოვრება

ვ. ასლამაზიშვილი — ოჯახის ყაცი, № 1; რას გვიამბობენ ძეგლები, № 3; გაკვეთილი გრძელდება, № 7.
ნ. ფავლენიშვილი — მე თითოეული მოსწავლისა მჯერა, № 1; ერთი მიზანი და საზრუნავი გვაქვს, № 7; გია მასწავლებელი — კლუბის პრეზიდენტი, № 12.
ნ. ხარაზიშვილი — თაოსნობა, № 2; ნინო მასაწვლებელი, № 4; ერთი ადგილის დედის შვილები, № 5; კომპიუტერი დაგვამეგობრებს, № 6; მისწერეთ მეგობარს, ბავშვებო! № 8; ისწავლეთ მიწის სიყვარული, № 9; პიონერები საკუთარი სათქმელით, № 12.
მ. გელაშვილი — თეატრი, სახელად „საფეხურები", № 3; გაგიგონიათ? ქარხანას „ხიკაბუკე" ჰქვია, № 8.
მ. ქარგარეთელი — ხვალ კიდევ უკეთესად; № 6; მცირე აკადემია და მისი მსმენელები, № 9.
ნ. აფხაზავა — იზრდებიან მომავლის კონსტრუქტორები, № 7; ეს ნანატრი „ნატვრისთვალი", № 12.
ო. ნოზაძე — დიდი ყინულის დღეები, № 7.
თ. ცაბარელი — თიანელი პიონერები, № 11.
ჯ. ქასრაძე — არ მოაკლდებათ მშობლიური ზრუნვა, № 11.

წერილები, მოგონებები, სხვა მასალები

მ. გელაშვილი — შესაშური ერთგელება, № 1.
მწერლის ფოსტა, № 1.
ა. ბეთანელი — მოგზაურობა მარსზე, № 1; ყოსმოსური აპარატების რაკეტული ძრავები, № 4
ვალენტინ კოტიკი, № 1
თ. ჯალაღანია — ნ. ფიროსმანაშვილი, № 1; ჯორჯონე, № 3; ქ. მაღალაშვილი, № 5; ალოდ მონე, № 7.
ი. ბლიაძე, რ. გოჭორიშვილი — შუაზე გაყოფის ალგორითმი, № 2; მათემატიკური ინდუქცია, № 5; მათემატიკური ლოგიკის ელემენტები, № 9
ა. ბებეპკორი — ეხთეტი ფრინველები, № 2; ცხოველთა ეხთეტიკა, № 4
ვ. სიდამონიძე — ავთანდილ ხაიკაძე, № 2; გვეკითხებიან — ვუპასუხებთ, № 8; ჩვენი წარსულიდან, № 9; დიდი მეცნიერის ცხოვრებიდან, № 10.
ლ. ბელაშვილი — უცნაური თევზები, № 2; მეზღვაურთა რიხვა, №8
თ. ინასარიძე — შევიხსნავლოთ ხაგზაო ანბანი, № 2, 4.
ვ. ფირსოვი — „დრუბა" ხელს უწყობს მეგობრობას, № 3.
თ. გოგოლაძე — ახლავე, ხანამ გვიან არ არის! № 3; შვილის ალერსით, №3; მეგობარი მეგობრისთვის, № 7; მივესათუთოთ სიყვარულს, № 10
ბ. ბარჯაძე — რეპორტაჟი კოხტაგორიდან, № 3.
შ. ბოგბატიშვილი — დარია თუ ავდარია? № 3.
მ. თომაძე — რა საჭიროა მაზვილი? № 4.
ლ. შეწირული — სკოლის ახალი ამოცანები, № 4.
მოვუაროთ დედაბუნებას, № 4.
ა. ჩხარტიშვილი — დმჭნისი, № 4; ატენის სიონი, № 10.
გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, №№ 4, 6.
ნაზი კილასონია-60, № 5.
შენი უცხოელი თანატოლები, №№ 5, 10.
უშრადღება! ვაცხადებთ კონკურსს! № 5.
მოდელირების მოყვარულთათვის, № 5, 11.
ვინ რამდენს ცოცხლობს? № 5.
ასე იწყებოდა კომკავშირი, № 6.
მ. ციხლილაძე — მუსიკალური ნოტი, № 6.
ბ. შელია — გაბედულად გადაწყვიტეთ თქვენი პრობლემები, № 7.
თამაშობები, № 7
მარატ ქაზეი, № 7.
კომკავშირი ახალ ცხოვრებას აშენებს, № 7.
თუ ფოტოსაქმე გაინტერესებთ, №№ 7, 8, 10, 11.
ა. დათაშვილი — მომავალი ცხოვრებისა და შრომის პროგრამა, № 8.
კომკავშირი — 70, № 8.
ვიქტორინა-კონკურსი, №№ 8, 10, 12.
ვ. კანდელაკი — შაში საინტერესო თამაშია, №№ 8, 11.
დიადი აღმავლობის წლები, № 9.
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე, № 9.
ხახალისო ქიმია, №№ 9, 10.
ბ. ჭანტურია — ხამოცდაათწლიანი გზის გადასახედიდან, № 10.
კომკავშირელთა დღევანდელი თაობა, № 10.
ვ. ცერცვაძე — ჩემი პირველი რედაქტორი, № 10.
ლიდა სტვილია — 50, № 10.
შ. მარკოზაშვილი — შეხვედრა გომბორზე, № 10.
მხიარული ვალსი (მუსიკალური ნოტი), № 10.
თანამედროვე რიტმები, № 11.
ვასილ პროროგაკო, № 11.
თ. ბიორგაძე — თეა ლანჩავა მსოფლიო ჩემპიონია! № 11.
ხახალისო ფიზიკა, № 11.
ბ. თაკთაკიშვილი — რა უნდა იცოდეს ნორჩმა მეფუტკრემ, № 11.
ზ. ჭუმბურიძე — ცოდნის ტაძარი, № 12.

განუოფილებები

ალბი — №№ 1-12.
ჯადოსნური სარკე — №№ 1, 2, 4, 5, 6, 9, 12.
იცით თუ არა, რომ... — № 1, 2, 4, 8.
გამოგადგები — №№ 1-4, 6-12
ცხრაკლიტული — №№ 1-12.
ეოცონი — №№ 1-6, 9, 11, 12.
საინტერესო სიახლენი — №№ 1, 3, 6, 8, 9, 11, 12.
მხედრიონი — № 2, 7, 10.
იუმორი — №№ 2, 4, 9, 11.
გამოჩენილი ადამიანების ღიმილი — №№ 1, 10, 11.

● ხის დეტალებს წებო გაცილებით უკეთ დაიჭერს, თუ ზედაპირებს შორის წებოთი დასველებულ ბამბას მოათავსებ. გარეთ დარჩენილი ბამბის ნაწიბურები სამართებლით ჩამოჭერი.



● თუ კარს (ან ფანჯარას) ისეთ საკეტელას გაუკეთებ, როგორიც ნახაზზეა ნაჩვენები, ორპირი ქარისა ნუღარ გეშინია, კარი თავისით არ მიიხურება. საკეტელასათვის 2-3 მმ სისქის ფოლადის მავთული გამოგადგება.



● მუყაოს კოჰაზე დახვეული ძაფი რომ არ დაიბლანდოს, შეგიძლია, მისი წვერი მომცრო რეზინის რგოლით დაამაგრო. არსებობს სხვა გზაც — კოჰას გულას კიდეზე ნაჭდევი გაუკეთე და ძაფის წვერი შიგ ჩაამაგრე.



● ზოგჯერ აუცილებელია რომელიმე აქროლადი სითხით სავსე ბოთლის (ან ქილის) მერმეტულად დახურვა, საამისოდ გმოსადეგი საცობი კი არ მოგეპოვება. მაგრამ ნუ დაღონდები, აილე გასანთლული ქაღალდი, ლეიკოპლასტირის ორი ნაჭერი და პრობლემაც გადაიჭრება.



● თუ ოჯახში ავტომობილი გაქვთ, შეგიძლია მის მფლობელს (ნებისმიერ ნაცნობ მძღოლსაც) ძალზე მოხერხებული „ძაბრი" შესთავაზო ბენზინის ავზისათვის: პლასტმასის ან პლასტიკატის ბოთლს გვერდი ამოსჭერი, პირზე კი შლანგის მომცრო ნაჭერი წამოაცვი და „ძაბრიც" მზად იქნება.



● მშვენიერი გამშხეფი გამოგივა, თუ შლანგის ხვრელში მოძრავად დაამაგრებ (ორი წვრილი ლურსმნით) ხის ან პლასტმასის საცობს ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. წარმოქმნილ ნაკადს გაუხშოებული კონუსის ფორმა ექნება და მისწვრებაა ნარგავების მოსარწყავად.

საქიებელი

ნ. ხარაზიშვილი — პიონერები საკუთარი სათქმელით (ნარკვევი) გარეკ. 2
ზ. ჯუმბურიძე — ცოდნის ტაძარი (წერილი) 4
ნ. ფავლენიშვილი — გია მასწავლებელი — კლუბის პრეზიდენტი (ნარკვევი) 6
ვლ. ასლამაზიშვილი — გუგრუცანა (მოთხრობა) 9
ა. მეგრელიშვილი — ლექსები 16
ბიხი 17
დ. ვადაჭკორია — მზის დახატული ყვავილები (მოთხრობა) 18
ნ. აფხაზავა — ეს ნანატრი „ნატვრისთვალი" (ნარკვევი) 21
როდის იწყება მესამე ათასწლეული (წერილი) 22
ვიქტორინა-კონკურსი 24
ბებერი დედოფლისა და ახალგაზრდა გლეხი გოგოს ამბავი (ზღაპარი) 25
საინტერესო სიახლენი 27
ჯადოსნური სარკე 27
კოცონი 28
სახალისო ფიზიკა 28
წიგნზე უთქვამთ 29
მხატვრის ღიმილი 30
წლიური საძიებელი 30
გამოგადგები 32
ცხრაკლიტული გარეკ. 3
ყურადღება! კონკურსი! გარეკ. 4

გარეკანის 1-ელი გვერდის მხატვრობა თემურ ფხიკაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეფიქრული, ზურაბ ჯუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 27.10.88. წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.12.88. წ., ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 2730. ტირაჟი 155200. ეგზ., უე 09489.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат $60 \times 90^1/_8$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 160.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1988 წ.



თარაზულად: 6. ღია ცის ქვეშ გამართული დროებითი სადგომი; 7. ეკლიანი ველური ბუჩქი; 8. სახეებიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 9. აშშ-ის შტატი; 10. სპორტული თამაშის ხანგრძლიობის გარკვეული ნაწილი; 13. ევროპის სახელმწიფო; 15. ბედაური; 17. ქართველი ფეხბურთელი; 18. რაიმე გარკვეული მუშაობის შემსრულებელი ხელსაწყო; 19. თეთრყვავილიანი საშუალო სიმაღლის ხე; 21. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 23. ერთგვარი კანფეტი; 25. თვითნება.

შვეულად: 1. თხრობითი ხასიათის ვოკალური ან ინსტრუმენტული ნაწარმოები; 2. ოსური ცეკვა; 3. სსრკ-ის ტერიტორიის ნაწილი; 4. დასარტყმელი სამუსიკო ინსტრუმენტი; 5. ვარდისებრთა ოჯახის საშუალო სიმაღლის ხე; 11. კავკასიონის მწვერვალი; 12. საქონელზე დაკრული ფურცელი; 16. საბჭოთა ფეხბურთელი; 14. ფიცარზე გავლებული სიგრძივი ღარი, რომელშიც ჯდება მეორე ფიცარი; 15. გზის, არხის ხაზის მიმართულება; 16. უძრავი ქონების დროებით დაგირავება; 20. მოკავშირე რესპუბლიკა; 22. ერთისა და იმავე ფერის ოდნავ შესამჩნევი სხვაობა; 24. პოლონეთის ქალაქი; 25. დიდი კინოფილმის ერთგვარად დამოუკიდებელი ნაწილი; 26. აზიის სახელმწიფო.

შეადგინა
ქ. ქურდოვანიძემ

შარადა

..მათ ფობათა ხელთა მოვიც
იგი პური მზიანა [...]
ფასკვნისათვის, რაც ივარგებს,
ის კი ცეცხლის ენა არი,
ორივ ერთად შეკრიბე და —
იმ ხეობას შეხსენ ქარი

ზ. ამირანაშვილი

ენის გასატეხი

კარალოკი აკარალოკებულა, საკარალოკეში ჩაკარალოკებულა.

აკლემი მოვიბი ხელზე, გადავაგდე კლდეზე. გადავიდა კლდეზე — კლდე ბდღვნა, გადმოვიდა კლდეზე — კლდე ბდღვნა

ერთი კათამი მყავდა, ხან იქით გადათავფეხკურტუმელდებოდა, ხან აქეთ გადმოთავფეხკურტუმელდებოდა.

ნ. ივანიძე

თავსატეხი



თუ პასუხს 3 წუთს მოანდომებთ, ბრწყინვალე შედეგია, თუ 5 წუთს — ესეც კარგი მაჩვენებელია, თუ 7 წუთს გადააცილებთ — ბევრი ვერაფერი...

გამოცანები

●

მწერებსა და ჭიაღუას
სასჯელს ვადებ სათანადოს,
რომ მერქანი არ გამოხრას,
ტყეში ველარ ინავარდოს.
იარაღი ისეთი მაქვს,
ნეტავ თქვენაც გაშოვნინათ,
თვითონ ხეა ჩემი სახლი
და ამ სახლში მიდევს ბინა.

ბ. მარცვალაშვილი

●

ხის ვარჯივით გადაშლილა,
არც ფესვი აქვს, არც
ფოთლები,
ულრან ტყეში მიდი-მოდის,
შეხედავ და — გაოცდები.

●

სიგარას ფრთები აბია
და სისწრაფე აქვს ელვის,
მუცელში თუ შეუძვრები,
სიამოვნება გელის.

ალ. ნამორაძე

●

ეს პირველად არ მომხდარა,
ასე ხდება დღენიადაგ:
ჯერ საუფლო მიინავლა
თვალუფუფნა ფერიათა,
მერე ერთი ქალბატონი
ოკროდ ამოფერიანდა.

●

მე მგონია, მიმიხვდებით
გაკვირვებას უნებურს:
მოედანზე ვდგავარ,
ვუმზერ
ჩანჩქერს ამობრუნებულს.

●

გამოცანას მოგახსენებთ,
მიმიხვდება კარგი ბავშვი:
მთელი წელი
თოვლის პაპა
ჩემთან ცხოვრობს კარადაში.

ნ. მარიხია

პასუხები № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიბულზე"

კროსვორდი

შვეულად: 1. ღერძი; 2. ტრიბუნალი; 3. განდეგილი; 4. კრივი; 5. ანაბარი; 9. ჭადრაკი; 11. რაშკული; 12. ორტისტი; 14. ოქმი; 15. ბოლი.

თარაზულად: 5. რეგბი; 6. ნაძვი; ღრუბელი; 8. აკარა; 10. ისარა; 13. ბრნო; 14. ბუკი.

გამოცანები

ესკალატორი, ვაზი, ჭია-მაია, დღეანდელი დღე.

შარადები

კოკა, ლამი, კალამი.
კალო, თხა, კათხა.

თავსატეხი

4.0.7.2.9.1.
0.4.1.0.2.0
3.8.0.2.1.6

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფ 53/12

ყურადღება, ვაკანსიები!

ჟურნალი „პიონერი“ საქართველოს მოსახლეობის დაცვის სა-
ზოგადოებასთან ერთად აცხადებს კონკურსს საუკეთესო ბა-
ვშვთა ნაწარმოებებზე, ინსტიტუციურ ფორმებშიც. ეისახება მობარული ფა-
ლი გარემოს დამოიდებულება, ეკოლოგიური ბუნებისადმი, მისი რა-
ობის დაცვის საქმეში, ყურადღება გამახვილდება ბუნებისმეტყველ-
ბესების საქმეში, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობ-
ლების, „ეროვნულ“ და „ციფერ“ საგანმანათლებლო სასკოლო საბუ-
ოების, ეკოლოგიური მოთხრობები, ეროვნული საქმიანობაზე.
საკონკურსოდ, ეკოლოგიური ნარკვევები (მოთხრობა, ლექსთა
ციკლები, ციკლისა 200 სტრიქონს, ეროვნული თაბახს, ეროვნ-
ტულთა ციკლები, ნარკვევისა — ორ ინტერვალზე 2 მოქმედებ-
ლექსთა ციკლი — 8 ბალადა
მხატვრული
გვერდს).

ყურადღება, ვაკანსიები!

ყურადღება, ვაკანსიები!

ყურადღება, ვაკანსიები!